2012 წელი, 3 - 9 მაისი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

# ახალი განათლება

№17 (571) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



9 აპრილი, კასპი, პირველკლასელი რატი სიდამონიძე

გამოვიდა

წიგნის თარო

ნიკოლაი გოგოლი
რჩეული მოთხრობები

ვილჰელმ ჰაუფი
ლიხტენშტაინი

თეოდორ დრაიზერი
დაიკო კერი

## მეთოდიკა

ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

მათემატიკის პედაგოგთა დასახმარებლად

გვერდი 4-5

## ქართველი სტუდენტები უცხოეთში



რუბრიკის სტუმარია კოტე ლომიძე

გვერდი 6

## იურისტის კონსულტაცია

პედაგოგთა შეკითხვებს პასუხობს სამეფ-ს იურისტი თამარ ავალიანი

გვერდი 8

2012 წლის გრიფირებული სახელმძღვანელოები

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ისტორია 7-12
- ნოდარ ასათიანი
- მარიკა ლორთქიფანიძე
- როინ მეტრეველი
- გიორგი სანიკიძე
- ნინო კილურაძე
- რევაზ გაჩეჩილაძე
- ლალი ფირცხალავა
- ლევან გორდეზიანი
- ფარნაოზ ლომაშვილი
- ცირა ჩიკვაიძე
- ზვიად მიმინოშვილი

გეოგრაფია 7-11
- მაია ბლიაძე
- გიორგი ჭანტურია
- დავით კერესელიძე
- ზურაბ სეფერთელაძე

მათემატიკა 7-12
- ნანა ჯაფარიძე
- მაია წილოსანი
- ნანი წულაია
- ნინო გულუა
- გია ძაგანია

სამოქალაქო 9-10
- თამარ ბრეგვაძე
- ივანე პეტრიაშვილი
- ნინო ტალახაძე
- თამარ ქალდანი

ბუნებისმეტყველება 7
- მალხაზ მაყაშვილი
- რევაზ ქუთელია
- ია გიგიბერია
- მანანა ბოჭორიშვილი




შეთავაზებები სკოლებისათვის
იხილეთ მე-2 გვერდზე

CMYK

# გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

## აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

### ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

**ბიზნესის მართვის კათედრა**
3 სრული პროფესორი
2 ასოცირებული პროფესორი

**ინფორმატიკის კათედრა**
1 სრული პროფესორი

### სამართლის ფაკულტეტი

**საჯარო სამართლის კათედრა**
1 სრული პროფესორი
2 ასოცირებული პროფესორი

**კერძო სამართლის კათედრა**
1 ასისტენტ-პროფესორი

### სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ჟურნალისტიკის პროგრამული მიმართულება**
3 სრული პროფესორი

**საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა**
6 სრული პროფესორი
4 ასოცირებული პროფესორი

**საბუთების მიღება იწარმოებს 2012 წლის 4 ივნისიდან 2012 წლის 13 ივნისის ჩათვლით, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე.
კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 25 ივნისს, საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2012 წლის 29 ივნისს.**

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gttu.edu.ge
ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე: 2 66 15 12; 2 24 65 91

## განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლის გამოსაშვები, სამაგისტრო და მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების განრიგი დაამტკიცა

**საატესტატო გამოცდები 21 მაისს დაიწყება და 30 მაისს დასრულდება.**
**2012 წლის გამოცდების განრიგი:**
**21 მაისი** – ქართულ ენა და ლიტერატურა,
ქართული ენა, როგორც მეორე ენა;
**22 მაისი** – უცხოური ენა;
**23 მაისი** – ისტორია;
**24 მაისი** – გეოგრაფია;
**25 მაისი** – ფიზიკა;
**28 მაისი** – ქიმია;
**29 მაისი** – ბიოლოგია;
**30 მაისი** – მათემატიკა.

აღსანიშნავია, რომ 2011-2012 წლის საატესტატო გამოცდებში კომპეტენციის ზღვარი იქნება 5.5. გასული წლის მსგავსად, გამოცდები „CAT“-ის ტიპის საგამოცდო მოდელით რვა საგანში ჩატარდება.

**რაც შეეხება საერთო სამაგისტრო გამოცდებს, 12 ივლისს** – წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში, ხოლო **13 ივლისს** ლოგიკურ და რაოდენობრივ მსჯელობაში ჩატარდება.

**2012 წლის მასწავლებლების სასერტიფიკაციო გამოცდები 2 ივლისიდან 19 ივლისამდე გაიმართება.**
**გამოცდების დეტალური განრიგი:**
**2, 3, 4 და 5 ივლისი** – უნარები;
**6 ივლისი** – ქართული ენა და ლიტერატურა (VII- XII კლასები);
**11 ივლისი** – გეოგრაფია, ბიოლოგია, ისტორია, ქიმია, მათემატიკა (VII-XII კლასები);
**12 ივლისი** – დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის (I-IV კლასები);
**13 ივლისი** – ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები);
**18-19 ივლისი** – უცხოური ენები.

## „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ შეთავაზებები სკოლებს და პედაგოგებს

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

- ასწავლეთ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ გრიფირებული სახელმძღვანელოებით და გახდით წლის საუკეთესო მასწავლებელი. გამოგვიგზავნეთ თქვენი მოსწავლეების სამუშაო რვეულები და მიიღეთ **200**, **150** ან **100**-ლარიანი დანამატი პედაგოგის ხელფასზე მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

- აირჩიეთ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ გრიფირებული სახელმძღვანელოები და ისარგებლეთ ფასდაკლებების ყველაზე მოქნილი სისტემით. 300-დან 1000 ლარამდე ღირებულების წიგნების შეძენის შემთხვევაში მიიღეთ **10%**-იანი, 1000-დან ზემოთ კი **15%**-იანი ფასდაკლება.

- თბილისის მასშტაბით „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ ყველა სკოლას სურვილის შემთხვევაში 150 ლარზე მეტი ღირებულების წიგნების შეკვეთას სასურველ ადგილზე სრულიად უსასყიდლოდ მიუტანს.

- საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან წიგნების შეძენა ინტერნეტის საშუალებითაც იქნება შესაძლებელი (WWW.SULAKAURI.GE; WWW.IBOOK.GE)

- აირჩიეთ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ გრიფირებული სახელმძღვანელოები და წარმატებით ჩააბარეთ საატესტატო გამოცდა პროფესიულ უნარებში. უნიკალური შანსი პედაგოგებისთვის. თუ სკოლა აირჩევს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ 3 ან მეტ გრიფირებულ სახელმძღვანელოს, პედაგოგებს მოცემული სკოლიდან ექნებათ შესაძლებლობა უფასოდ დაესწრონ კვალიფიციური ექსპერტის ტრეინინგს პროფესიულ უნარებში და მიიღონ შესაბამისი მასალები გამოცდებისთვის მოსამზადებლად.

- უპრეცედენტო საჩუქარი გამომცემლობისგან. სკოლა, რომელიც აირჩევს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ ხუთივე გრიფირებულ სახელმძღვანელოს, მიიღებს ზუსტად იმ თანხის კეთილმოწყობილ, თანამედროვე ტექნოლოგიებით და უმაღლესი ხარისხის გამოცემებით აღჭურვილ სასკოლო ბიბლიოთეკას, რამდენი მოსწავლეც სწავლობს სკოლაში.


წიგნის თარო

## გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს



წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

* კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
* მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
* სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გექლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
* თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

# ეროვნული ბიბლიოთეკა – ერის ისტორიული მეხსიერების შენახვის, დაცვისა და ხელმისაწვდომობის გარანტი

23 აპრილს – წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების დარბაზში გაიხსნა საქართველოს ბიბლიოთეკის კვირეული. კვირეულის ფარგლებში (30 აპრილს დაიხურა), მრავალი საინტერესო ღონისძიება, აქცია, კონკურსი, ინიციატივა დაიგეგმა და განხორციელდა, კერძოდ:

➢ გაიხსნა ელექტრონული წიგნების წამკითხველი მოწყობილობის, იოტა რიდერის კუთხე, რაც ნებისმიერ მკითხველს აძლევს შანსს წაიკითხოს იოტა რიდერში ჩატვირთული ქართული კლასიკური ლიტერატურის ასამდე ელექტრონული გამოცემა;

➢ ჩატარდა ეროვნული ბიბლიოთეკისა და პრემია „საბას" დამფუძნებელი თიბისი ბანკის ერთობლივი აქცია – 23 აპრილს, ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიისა და სამოქალაქო განათლების სამკითხველო დარბაზებში, მკითხველებს ბიბლიოთეკარებად დახვდნენ ლიტერატურული კონკურსის „საბა" პრემიის ლაურეატები: **გივი ალხაზიშვილი, დიანა ანფიმიადი, თეონა დოლენჯაშვილი, გიორგი კეკელიძე, ბესო ხვედელიძე, მაკა მიქელაძე, ანა კორძაია-სამადაშვილი, ლევან ბრეგაძე, ზურა ქარუმიძე, თამარ ფხაკაძე.**

➢ ამავე დღეს, საგამოფენო დარბაზში ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული „ვეფხისტყაოსნის" უნიკალური გამოცემების გამოფენა გაიხსნა. წარმოდგენილი იყო 60 უიშვიათესი გამოცემა ქართულსა და უცხოურ ენებზე. იშვიათ გამოცემათა განყოფილების წამყვანი სპეციალისტი **ნინო ხვედელიძე** გვიამბობს:

*„1712 წლის ვახტანგისეული გამოცემა, რა თქმა უნდა, გამორჩეულია, ვახტანგ VI-ის სტამბაშია დაბეჭდილი, ბაგრატიონთა ღერბით, თავად ვახტანგ მეფის პორტრეტით, შესრულებულია მხედრული შრიფტით, წითელი და შავი მელნით. ილია ჭავჭავაძის პირადი კოლექციის ეგზემპლარია, პირველი ბეჭდური „ვეფხისტყაოსანი".*

*1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემა ყურადსაღებია მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით. სურათები ზიჩის ნახატებიდან, ფოტოცინკოგრაფიით, ვენაში გადაიღო ანგერერმა. ფერადი სურათები დამზადდა სანკტ-პეტერბურგის პრეზეს ქრომოლითოგრაფიაში. უმნიშვნელოვანესია იმით, რომ ტექსტი ძველ ვარიანტთან შეამოწმა კომისიამ იონა მეუნარგიას თაოსნობით, კომისიას თავმჯდომარეობდა გრიგოლ ორბელიანი, შემდგენელი – ილია ჭავჭავაძე. ამ გამოცემის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ივანე მაჩაბელს.*

*როგორც ვიცით, „ვეფხისტყაოსანი" მსოფლიოს ყველა ენაზეა თარგმნილი. ფონდში დაცულია შოთა რუსთაველის პოემის 300-ზე მეტი საკოლექციო ეგზემპლარი: ბულგარულ, რუსულ, ბასკურ, აფხაზურ, არაბულ, ჩინურ, თურქულ, აზერბაიჯანულ, გერმანულ, ებრაულ, ესტონურ, ესპანურ, თურქმენულ, ლიტვურ, მონღოლურ, ოსურ, ლაკურ, რუმინულ, პოლონურ, ჩეხურ, ყირგიზულ, უნგრულ, ფრანგულ, უზბეკურ, იაპონურ, სომხურ, სლოვაკურ, სპარსულ და სხვა ენებზე."*





➢ საბიბლიოთეკო კვირეული ოფიციალურად გახსნა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა **გიორგი კეკელიძემ**. იგი მიესალმა საზოგადოებას, მოწვეულ სტუმრებს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს **დავით ბაქრაძეს** და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს **ნიკოლოზ რურუას**.

ბატონმა დავით ბაქრაძემ იქ დამსწრეთ მიულოცა წიგნის საერთაშორისო დღე და სიხარული გამოთქვა, რომ საქართველო ორ საერთაშორისო კონკურსშია ჩართული. მას ხვდა პატივი, მიელოცა გამარჯვებულთათვის. დასახელდა ასტრიდ ლინდგრენის პრემიაზე წარდგენილი ორი მწერალი – **თეა თოფურია** (გამომცემლობა „დიოგენე"), **სანდრო ასათიანი** (ავტორ-რესტავრატორი).

ეროვნულ ბიბლიოთეკაში შექმნილმა ჟიურიმ (თავმჯდომარე – **დავით გაბუნია**) დუბლინის ლიტერატურულ პრემიაზე საქართველოდან წარდგენილ კანდიდატად **ზურაბ ქარუმიძე** დაასახელა.

ბატონმა ნიკა რურუამ აღნიშნა: *„მიუხედავად იმისა, რომ წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღე 1995 წლიდან ტარდება, ასეთი პომპეზურობით პირველად აღინიშნა".*

რადგანაც წიგნიერება ქართული ვინაობის განუყოფელი ნაწილია, კულტურის მინისტრის ინიციატივით, კულტურის სამინისტროს ეგიდით გამოცემული წიგნები მაღაზიებს საჩუქრად გადაეცემა, რაც მკითხველს საშუალებას მისცემს, წიგნის ღირებულებაზე შედარებით დაბალ ფასად იყიდოს. დასახელდა მაღაზიებიც: „წიგნები ვაკეში", „სანტა-ესპერანსა", „ლიტერნა", „ლიბრა".

ეროვნული ბიბლიოთეკის მხრივ ინიციატივები არ წყდებოდა. ბატონმა გიორგი კეკელიძემ საზოგადოებას ამცნო, რომ ბიბლიოთეკაში დარეგისტრირებული ყოველი მეორასე მკითხველი საჩუქრად მიიღებს lit.ge-ს სადეპოზიტო ბარათს, რომლის საშუალებითაც აღნიშნული საიტიდან შესაბამისი ღირებულების ელექტრონული წიგნის ჩამოტვირთვით სარგებლობას შეძლებს. ასევე, იოტა რიდერთან ერთად, აღნიშნულ კუთხეში განთავსდება ელექტრონული წიგნების სხვა წამკითხველებიც, როგორიცაა: Ped, Kindle, Nook და სხვ.





ეროვნული ბიბლიოთეკის ახალ ხელმძღვანელს კარგად ესმის, რომ ბიბლიოთეკა ცოცხალი ორგანიზმია და მხოლოდ საცავის ფუნქცია არ ენიჭება: საღამოები, კონკურსები, ვიქტორინები, პროექტები... ამ სიახლეების მონაწილენი თავად გახლდით – 24 აპრილს საქართველოს სწრაფი გარანტიების პროექტის „იდეა+" პირველ კონკურსთან დაკავშირებული ბრიფინგიც ამაზე მეტყველებდა. პროექტის მიზანია ორიგინალური იდეების მქონე ახალგაზრდების გამოვლენა და მათი ხელშეწყობა სწრაფი გარანტიების მოსაპოვებლად.

ვფიქრობთ, XXI საუკუნემ პასუხი გასცა საუკუნეების წინანდელი მოსაკლისების, თუნდაც XX საუკუნის ერთი შემოქმედის ნატვრას „კარცერ-ლუქსის" შესახებ.

ისღა დაგვრჩენია, ვაღიაროთ ეროვნული ბიბლიოთეკის წარმატება და დაველოდოთ საინტერესო შემოთავაზებებს.

*თამარ ბარისაშვილი*

## ინფორმაცია

* * *

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა, თანამედროვე სასწავლო ლაბორატორიები დაათვალიერა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში აგრარული განათლების მნიშვნელობაზე ისაუბრა. აგრარულ უნივერსიტეტში ყოფნის დროს მიხეილ სააკაშვილმა სტუდენტებს ორი ახალი ინიციატივა გააცნო – ერთი ქართული სტუდენტური ბარათების შემოღებას უკავშირდება, რომლის საშუალებითაც ახალგაზრდებს მუნიციპალურ და სარკინიგზო ტრანსპორტში, კვებისა და სავაჭრო ობიექტებში ფასდაკლებით მოემსახურებიან; მეორე – სტუდენტთა დასაქმების პროგრამას, რომელიც ზამთარშიც გაგრძელდება.

აგრარული, საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მიმართულებები სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულადაა გამოცხადებული. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრარულ სფეროში პროფესიონალი კადრების მომზადებას. ამ მიზნით, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში შეიქმნა ახალი სასწავლო პროგრამები და განხორციელდა სასწავლო კორპუსისა და ლაბორატორიების რეაბილიტაცია.

უნივერსიტეტში 2500 სტუდენტი სწავლობს. 2012 წელს აგრარულ და ტექნოლოგიურ მიმართულებებზე სტუდენტების ინტერესი რადიკალურად, 7-ჯერ გაიზარდა. შედეგად, 2012 წელს აგროტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ერთ ადგილზე 40 აბიტურიენტია, საინჟინრო-ტექნოლოგიურზე კი ერთ ადგილზე – 36 აბიტურიენტი.

უნივერსიტეტს 3 ძირითადი მიმართულება აქვს – *აგროტექნოლოგიური:* მევენახეობა-მეღვინეობის, აგრონომიული, სატყეო, კვების პროდუქტების ტექნოლოგიების, სავეტერინარო მედიცინის და ზოოტექნიკის სპეციალობები; *საინჟინრო-ტექნოლოგიური:* ელექტროინჟინერიის, მექანიკის ინჟინერიის, ინჟინერ-მშენებლის, აგროინჟინერიის სპეციალობები და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება.

უნივერსიტეტის ყველა აუდიტორიასა და ლაბორატორიას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა (რაზეც 4 მლნ დოლარი დაიხარჯა). სასწავლო ლაბორატორიები თანამედროვე აპარატურით აღიჭურვა, აქ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ პრაქტიკული ცოდნა მიიღონ. ლაბორატორიების აღჭურვა გრძელდება.

უნივერსიტეტში განახლდა სასწავლო ინვენტარი, ყველა აუდიტორიასა და ლაბორატორიაში დამონტაჟდა პროექტორები, დაინსტალირდა ლიფტები, მოეწყო მოძრაობის დეტექტორზე მომუშავე განათების სისტემები, კონდიციონირება-ვენტილირება, გაკეთდა თანამედროვე საგამოცდო ცენტრი, დამონტაჟდა ვიდეოკამერები, ტელეფონის და მაღალსიხშირის ტალღების ჩამქრობი მოწყობილობა, მოეწყო უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის ყველგან ხელმისაწვდომია Wi-Fi.

სტუდენტებისთვის კეთდება ექსპერიმენტული მექანიკური ქარხანა, სადაც მომავალი ინჟინრები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან. ნიჭიერი სტუდენტებისთვის, ასევე, 2 ლაბორატორია ამოქმედდება, სადაც ისინი თავიანთ გამოგონებებზე იმუშავებენ. კეთდება კავკასიაში საუკეთესო ვეტერინარული კლინიკა, რომელიც ცხოველთა დიაგნოსტიკის ისეთი აპარატურით აღიჭურვება, როგორიცაა ციფრული რენტგენი, ცხოველების კომპიუტერული ტომოგრაფი – ეს არც ერთ კლინიკას არ გააჩნია საქართველოში. მზადდება სასმელების ქარხანა, სადაც სტუდენტები თვითონ დააყენებენ ღვინოს, შამპანურს, კონიაკს, არაყს, მოხარშავენ ლუდსა და დაამზადებენ ლიმონათს. უნივერსიტეტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ავითარებს სპეციალურ სასწავლო-სამეცნიერო ბაზებს, სადაც სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას და მეცნიერები თავიანთ ცდებს ჩაატარებენ.

უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ვითარდება ახალი საუნივერსიტეტო ქალაქი, რომელიც სტუდენტებზე, ლექტორებსა და საშუალო შემოსავლის მქონე სხვა პირებზეა გათვლილი. იგეგმება აშშ-ს ქალაქებისთვის დამახასიათებელი სითიჰაუსის ტიპის დასახლების განვითარება.

მეთოდიკა

# ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

## გენეტიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდიკა

**ამოცანა №1**

გოგრების შეჯვარებით $F_2$ თაობაში მიღებული ინდივიდებიდან 198-მა თეთრი ნაყოფი განივითარა, 58-მა – ყვითელი, ხოლო 21-მა – მწვანე. დაადგინეთ შეჯვარების ტიპი და შთამომავლობის შესაძლო გენოტიპები.

**ამოხსნა:**

თეთრი ნაყოფი – 198

ყვითელი ნაყოფი – 58

მწვანე ნაყოფი – 21

ინდივიდების საერთო რაოდენობა 277-ის ტოლია (198+58+21).

ვივარაუდოთ, რომ განხორციელდა დიჰიბრიდული შეჯვარება, მაშინ $F_2$ თაობაში ჰიბრიდთა 16 შესაძლო კომბინაცია წარმოიქმნება. ამიტომ, ინდივიდების საერთო რაოდენობა ამ მაჩვენებელზე უნდა გაიყოს: 277 : 16 ≈17.

დავადგინოთ თანაფარდობა ფენოტიპურ კლასებს შორის:

თეთრი ნაყოფი: 198 : 17 ≈12

ყვითელი ნაყოფი: 58 : 17 ≈ 3

მწვანე ნაყოფი: 21 : 17 ≈1.

დათიშვის თანაფარდობა 12 : 3 : 1-ის ტოლია. აღნიშნული თანაფარდობა დომინანტური ეპისტაზის დროს ყალიბდება (როდესაც ორივე რეცესიული გენის მქონე ჰომოზიგოტ ინდივიდებს სპეციფიკური ფენოტიპი აქვთ).

ცხადია, რომ თეთრი შეფერილობა დომინანტურია (12 თეთრი : 4 შეფერილი – 3 : 1).

შეფერილი ნაყოფის მქონე მცენარეებშიც დათიშვაა 3 : 1 (3 ყვითელი : 1 მწვანე), ანუ ყვითელი ფერი დომინანტური ნიშანია. პიგმენტის სინთეზს I დომინანტური გენი ინჰიბირებს. ნაყოფის ყვითელ ფერს A დომინანტური გენი განსაზღვრავს, მწვანესი – მისი რეცესიული a გენი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, A-I- გენოტიპების მქონე მცენარეები თეთრ ნაყოფს იძლევა, მათი რაოდენობა 9/16-ს შეადგენს, თეთრ ნაყოფს იძლევა aaI- გენოტიპის მქონე ინდივიდებიც – 3/16, ანუ მცენარეების 12/16 თეთრ ნაყოფს ივითარებს.

ყვითელნაყოფიანი მცენარეების გენოტიპი იქნება iiA- – 3/16, ხოლო მცენარეთა 1/16-ს მწვანე ნაყოფი ექნება (iiaa).

**პასუხი:** შეჯვარების ტიპია არაალელურ გენთა ურთიერთქმედება – დომინანტური ეპისტაზი – შეფარდებით 12 : 3 : 1. თეთრნაყოფიანი მცენარეების გენოტიპებია A-I- ან aaI-. ყვითელნაყოფიანი მცენარეების გენოტიპებია A-ii, მწვანენაყოფიანი მცენარეების – aaii.

**ამოცანა №2**

$F_2$ შთამომავლობაში მიღებულია 114 წითელნაყოფიანი პომიდორი, 42 – ყვითელნაყოფიანი, 40 – ნარინჯისფერნაყოფიანი და 15 – მოყვითალო-ნარინჯისფერი. დაადგინეთ შეჯვარების ტიპი და შთამომავლობის შესაძლო გენოტიპები.

**ამოხსნა:**

წითელნაყოფიანი – 114.

ყვითელნაყოფიანი – 42

ნარინჯისფერნაყოფიანი – 40

მოყვითალო-ნარინჯისფერი ნაყოფით – 15.

მიღებული ინდივიდების საერთო რაოდენობაა:

114 + 42 + 40 + 15 = 211

დავუშვათ, რომ მოქმედებს დიჰიბრიდული შეჯვარება, მაშინ $F_2$ თაობაში წარმოიქმნება ჰიბრიდთა 16 შესაძლო კომბინაცია. ამიტომ, ინდივიდთა საერთო რაოდენობა უნდა გაიყოს 16-ზე.

211 : 16 ≈13.

დავადგინოთ თანაფარდობა ფენოტიპურ კლასებს შორის:

წითელნაყოფიანი: 114 : 13 ≈ 9

ყვითელნაყოფიანი: 42 : 13 ≈ 3

ნარინჯისფერნაყოფიანი: 40 : 13 ≈ 3

მოყვითალო-ნარინჯისფერი ნაყოფით: 15 : 13 ≈1

დათიშვა თანაფარდობით 9 : 3 : 3 : 1 არაალელურ გენთა კომპლემენტური ურთიერთქმედების დროს ყალიბდება; როდესაც დომინანტი არაალელური გენები ცალ-ცალკე მოქმედებისას განსხვავებული ნიშნის განვითარებას იწვევს, ხოლო გენოტიპში ერთად ყოფნისას ახალი ნიშანი ვითარდება.

A დომინანტური გენი ნაყოფის ყვითელ ფერს განაპირობებს, B გენი – ნარინჯისფერს. აქედან გამომდინარე, A-bb გენოტიპის მქონე მცენარეებს ყვითელი ნაყოფი ექნებათ, aaB- გენოტიპის მქონე მცენარეებს – ნარინჯისფერი. ორივე დომინანტური გენის არსებობისას (A-B-) მცენარე წითელ ნაყოფს ივითარებს, ხოლო aabb გენოტიპის მქონე მცენარეებს მოყვითალო-ნარინჯისფერი ნაყოფი ექნებათ.

**პასუხი:** ადგილი აქვს არაალელურ გენთა კომპლემენტურ ურთიერთქმედებას (9 : 3 : 3 :1).

9/16 – (A-B-) – წითელნაყოფიანი.

3/16 – (aaB-) – ნარინჯისფერნაყოფიანი

3/16 – (A-bb) – ყვითელნაყოფიანი

1/16 – (aabb) – მოყვითალო-ნარინჯისფერნაყოფიანი.

**ამოცანა №3.**

ჭვავის შეჯვარებით მეორე თაობაში მიიღეს 212 მცენარე, რომლებმაც წითელი თესლი გაიკეთა და 166 მცენარე, რომელთაც თეთრი თესლი ჰქონდათ. როგორია შეჯვარების ტიპი და შთამომავლობის შესაძლო გენოტიპები?

**ამოხსნა:**

წითელი თესლი – 212

თეთრი თესლი – 166.

ინდივიდთა საერთო რაოდენობა: 212 + 166 = 378.

ვივარაუდოთ, რომ მოქმედებს დიჰიბრიდული შეჯვარება, ე.ი. $F_2$ თაობაში ჰიბრიდთა 16 კომბინაცია წარმოიქმნება. აქედან გამომდინარე, 378 :16 ≈24.

ფენოტიპურ ჯგუფებს შორის თანაფარდობა იქნება:

წითელი თესლი: 212 : 24 ≈9

თეთრი თესლი: 166 : 24 ≈ 7

თანაფარდობა 9 : 7 არაალელურ გენთა კომპლემენტურ ურთიერთქმედებაზე მიუთითებს.

აღნიშნული თანაფარდობა ყალიბდება მაშინ, როდესაც დომინანტურ ალელებს ცალ-ცალკე არც ერთს არა აქვს ფენოტიპურად გამოვლენის უნარი, ხოლო ერთად ახალი ნიშნის გამოვლენას იწვევენ.

მცენარეები, რომელთა გენოტიპები A-bb ან aaB- იქნება, თეთრი ფერის თესლს განივითარებენ, ხოლო A-B- გენოტიპის მქონე მცენარეებს წითელი თესლი ექნებათ.

*ნატა ბიჭიკაშვილი*
*ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,*
*ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა*

ინფორმაცია

# „თავისუფლება ლომთა ხვედრია!“



9 აპრილი ყველა ქართველისთვის უმნიშვნელოვანესი დღეა, რომელიც აერთიანებს უდიდეს ტკივილსა და სიამაყეს, დღე, რომლის არდავიწყება ყველა ქართველის ვალია.

კასპის N4 სკოლის კურსდამთავრებულ **რობერტ კავთიაშვილს**, რომელიც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია, დაებადა იდეა, კასპში 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩაეტარებინა. მისი მიზანი იყო, კიდევ ერთხელ შეეხსენებინა მოსახლეობისთვის 1989 წლის 9 აპრილი და 21 წლის წინ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ჩანაფიქრი, რომელიც რაიონულ გამგეობასა და კასპის რესურსცენტრის უფროსს გააცნო და მათგან სრული მხარდაჭერა მიიღო, ასეთი იყო: ქალაქის ყველა სკოლის მოსწავლეები თავიანთი სკოლებიდან წამოსულიყვნენ და გიორგი სააკაძის ძეგლთან შეკრებილიყვნენ ამ მოვლენის აღსანიშნავად.

N4 საჯარო სკოლის პედკოლექტივი და მოსწავლეები ენთუზიაზმით შეუერთდნენ ამ იდეას. დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, რომელსაც დირექტორის მოადგილე **ნინელი ყაზარაშვილი** და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ინგა ქენქაძე** ხელმძღვანელობდნენ. ბავშვები გაეცნენ 1989-1991 წლის 9 აპრილის ამსახველ ფოტო-ვიდეომასალებს, იმდროინდელ პუბლიკაციებს, ისტორიულ ცნობებს. წაიკითხეს ამ დღეებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული ნაწარმოებები. გადაწყდა, რომ დადგმულიყო მინი-სპექტაკლი „უხმლო ლაშქარი“.

მეოთხესკოლელი მოსწავლეები 9 აპრილს, დღის 12 საათზე, ქალაქის ცენტრისკენ გაემართნენ. მათ მიჰქონდათ ყვავილები და ტრანსპარანტები წარწერებით:

„თავისუფლება ლომთა ხვედრია!“, „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი“, „მამულს გული – უპირველეს ყოვლისა!“, „წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება“.

გიორგი სააკაძის ძეგლთან მეოთხესკოლელებს N 2 საჯარო სკოლის მოსწავლეები შეუერთდნენ. დაიწყო წარმოდგენა „უხმლო ლაშქარი“, რომელსაც მუსიკალურად აფორმებდნენ N2 საჯარო სკოლის მოსწავლეები, მუსიკის მასწავლებლის, **ხათუნა ხაჩიძის** ხელმძღვანელობით. ინსცენირების დასასრულ მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გააცოცხლეს 9 აპრილის ტრაგიკული ღამე.

გაისმა ზვიად გამსახურდიას ხმა, რომელმაც ქართველ ერს ნანატრი დამოუკიდებლობის გამოცხადება მიულოცა. ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი პირველკლასელი **რატი სიდამონიძის** მიერ წაკითხულმა ლექსმა არავინ დატოვა გულგრილი. ბედნიერი მომავლის განწყობამ მოიცვა მოედანი, რომელსაც აძლიერებდა უფლისადმი მიძღვნილი საგალობელი.

„თავისუფლება ლომთა ხვედრია“, – ასეთ ნოტაზე დაასრულეს მოსწავლეებმა თავიანთი გამოსვლა და საქართველოს ერთიანობისათვის დაცემულ მებრძოლთა მემორიალისკენ გაემართნენ ყვავილებითა და ანთებული სანთლებით.

რობერტ კავთიაშვილმა მადლობა გადაუხადა N2 და N4 საჯარო სკოლების დირექტორებს – **ოლია მახარაძესა** და **ქეთევან ხითარიძეს**, ასევე მონაწილეებს, მაყურებლებს. გამოთქვა სურვილი და იმედი, რომ ამგვარი ერთობლივი ღონისძიებები გახშირდება ქალაქში და ახალგაზრდობა აქტიურად იქნება მასში ჩართული.

*გულო გიგაური*
*კასპის N4 საჯარო*
*სკოლის მასწავლებელი*





მეთოდიკა

# მათემატიკის პედაგოგთა დასახმარებლად

## ვაგრძელებთ საკითხების განხილვას ფუნქციის წარმოებულის შესახებ

### წირის მხები

$y=f(x)$ ფუნქციის გრაფიკის $x_0$ აბსცისის მქონე წერტილში გამავალი მხების განტოლებაა:

$y=f'(x_0)(x-x_0)+y_0$, სადაც $y_0=f(x_0)$

$(x_0; y_0)$ წერტილში გავლებული მხების კუთხური კოეფიციენტი არის $k=tg\alpha=f'(x_0)$

სადაც α არის კუთხე, რომელსაც მხები ადგენს ox ღერძის დადებით მიმართულებასთან (ox ღერძთან დახრის კუთხე).

**ამოცანა 1.**

ვიპოვოთ

$$y=\frac{1}{3\sqrt{3}}x^3-5$$

კუბური პარაბოლის $x_0=\sqrt{3}$ წერტილში გავლებული მხების

ა) კუთხური კოეფიციენტი (ox ღერძთან დახრის კუთხის ტანგენსი);

ბ) ox ღერძის დადებით მიმართულებასთან შედგენილი კუთხე;

გ) განტოლება;

დ) ox და oy ღერძთან გადაკვეთის წერტილები.

**ამოხსნა.**

f ფუნქციის გაწარმოებით მივიღებთ:

$$y'=\frac{1}{\sqrt{3}}x^2$$

ა) $(x_0; y_0)$ წერტილში გავლებული მხების კუთხური კოეფიციენტი

$$k=tg\alpha=f'(x_0)$$

ამიტომ გვექნება

$$k=f'(\sqrt{3})=\sqrt{3}$$

ე.ი. $k=\sqrt{3}$

ბ) როგორც ცნობილია $k=tg\alpha$, ამიტომ $tg\alpha=\sqrt{3} \Leftrightarrow \alpha=60°$.

ე. ი. მხები ox ღერძის დადებით მიმართულებასთან შეადგენს $\alpha=60°$ კუთხეს.

გ) $x_0$ აბსცისის მქონე წერტილში გამავალი მხების განტოლებას აქვს სახე:

$y=f'(x_0)(x-x_0)+y_0$.

ცხადია,

$$y_0=\frac{1}{3\sqrt{3}}\sqrt{3}^3-5=1-5=4$$

ამრიგად, $y=\sqrt{3}(x-\sqrt{3})-4=\sqrt{3}x-7$.

ე.ი. მხების განტოლებაა $y=\sqrt{3}x-7$.

დ) მხები ox ღერძს გადაკვეთს, როცა $y=0$, ამიტომ გვაქვს

$$0=\sqrt{3x}-7 \Leftrightarrow x=\frac{7\sqrt{3}}{3}$$

მხები oy ღერძს გადაკვეთს $y=-7$ წერტილში (როცა $x=0$).

**ამოცანა 2.**

$y=x^3-x$ წირის $O(0;0)$ და $A(1;11)$ წერტილებზე გავლებულია მკვეთი. იპოვეთ ამ წირზე მდებარე ისეთი წერტილები, რომელზედაც გავლებული მხები OA მკვეთის პარალელურია.

**ამოხსნა.**

მხების კუთხური კოეფიციენტი არის

$k_1=y'(x_0)=3x_0^2-1$.

როგორც ცნობილია, წრფის განტოლებას აქვს სახე:

$$y=k_2x+b$$

რადგან წრფე გადის $O(0;0)$ და $A(1;11)$ წერტილებზე, ამიტომ გვექნება სისტემა:

$$\begin{cases}0=k_2\cdot 0+b\\ 11=k_2+b\end{cases} \Leftrightarrow k_2=11.$$

პირობის თანახმად მხები არის მკვეთი წრფის პარალელური, ამიტომ $k_1=k_2$

ე.ი. $3x_0^2-1=11 \Leftrightarrow x_0=\pm 2$ და $y_0=(\pm 2)^3-(\pm 2)=\pm 6$.

**პასუხი:** მხები გაივლის $B(2;6)$ და $C(-2;-6)$ წერტილებზე.

### ფუნქციის მონოტონურობის შუალედები

ფუნქციას ეწოდება ზრდადი (კლებადი) რაიმე შუალედში, თუ ამ შუალედში არგუმენტის ყოველ მეტ მნიშვნელობას ფუნქციის მეტი (ნაკლები) მნიშვნელობა შეესაბამება.

როგორც ზრდად, ისე კლებად ფუნქციებს მონოტონური ფუნქციები ეწოდება. თუ ფუნქცია მონოტონური არ არის, მაშინ მისი განსაზღვრის არე შეიძლება დავყოთ სასრულ მონოტონურობის შუალედებად.

$y=f(x)$ ფუნქციის მონოტონურობა შეიძლება გამოვიკვლიოთ მისი პირველი რიგის წარმოებულის მიხედვით.

კერძოდ, თუ რაიმე შუალედში $f'(x)>0$ ($f'(x)<0$) მაშინ ამ შუალედში მოცემული $f(x)$ ფუნქცია ზრდადია (კლებადია).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავადგინოთ მოცემული $y=f(x)$ ფუნქციის მონოტონურობის შუალედების მოძებნის წესი:

ვიპოვოთ $f'(x)$ ფუნქციის ნულები და წყვეტის წერტილები (კრიტიკული წერტილები), რომლებიც $y=f(x)$ ფუნქციის განსაზღვრის არეს დაყოფენ მონოტონურობის შუალედებად.

განვსაზღვროთ თითოეულ მიღებულ შუალედში $f'(x)$ წარმოებულის ნიშანი. შუალედები, რომლებშიაც $f'(x)>0$ წარმოადგენენ ზრდადობის შუალედებს, ხოლო შუალედები, რომლებშიაც $f'(x)<0$ კლებადობის შუალედებს.

**მაგალითი 1.**

ვიპოვოთ

$$y=x^3-\frac{3}{2}x^2-6x+4$$

ფუნქციის მონოტონურობის შუალედები.

**ამოხსნა:**

ვიპოვოთ ფუნქციის წარმოებული.

$y'=3x^2-3x-6=3(x^2-x-2)=3(x+1)(x-2)$

ე.ი. $y'=3(x+1)(x-2)$

წარმოებული გავუტოლოთ ნულს და ამოვხსნათ განტოლება:

$3(x+1)(x-2)=0 \Leftrightarrow x_1=-1 \vee x_2=2$

ვღებულობთ შემდეგ შუალედებს:

$]-\infty,-1[$; $]-1; 2[$; $]2; +\infty[$ თითოეული შუალედისათვის განვსაზღვროთ წარმოებულის ნიშანი:

თუ $x\in]-\infty,-1[$ მაშინ ცხადია $x+1<0$ და $x-2<0$ მაშასადამე, $y'=3(x+1)(x-2)>0$ ე.ი $]-\infty,-1[$ შუალედში ფუნქცია ზრდადია.

თუ $x\in]-1; 2[$, მაშინ ცხადია $x+1>0$ და $x-2<0$ მაშასადამე $y'<0$ ე.ი $]-1; 2[$ შუალედში ფუნქცია კლებადია.

თუ $x\in]2; +\infty[$ მაშინ $x+1>0$ და $x-2>0$ მაშასადამე $y'>0$ ე.ი. $]2; +\infty[$ შუალედში ფუნქცია ზრდადია $]-\infty,-1[\cup]2; +\infty[$ შუალედში, კლებადია $]-1; 2[$ შუალედში.

**მაგალითი 2.**

ვიპოვოთ $y=1-\cos x-x^2/2$ ფუნქციის მონოტონურობის შუალედი.

**ამოხსნა.**

მოცემული ფუნქციის წარმოებული $y'=\sin x-x$.

თუ $x>0$, მაშინ $\sin x<x \Leftrightarrow \sin x-x<0$. ე.ი. $y'<0$.

თუ $x<0$, მაშინ $\sin x>x \Leftrightarrow \sin x-x>0$. ე.ი. $y'>0$.

ამრიგად, მოცემული ფუნქცია კლებადია $]0; +\infty[$ შუალედში, ხოლო ზრდადია $]-\infty;0[$ შუალედში.

პასუხი: ზრდადობის შუალედია $]-\infty;0[$; კლებადობის შუალედია $]0; +\infty[$.

### სავარჯიშოები

1. იპოვეთ $y=2x^2+3$ პარაბოლის $x_0=13$ აბსცისის მქონე წერტილზე გავლებული მხების კუთხური კოეფიციენტი.
2. დაწერეთ $y=3x-2x^2-7$ წირის $A(1;-6)$ წერტილზე გამავალი მხების განტოლება.
3. დაამტკიცეთ, რომ $y=2x^3+6x-14$ წირის ყველა მხები ox ღერძის დადებით მიმართულებასთან დახრილია მახვილი კუთხით.
4. გაარკვიეთ x-ის რომელი მნიშვნელობებისათვის ექნებათ $y=x^3-21x+3$ და $y=x^2+7$ წირებს პარალელური მხებები.
5. დაამტკიცეთ, რომ $y=-\frac{1}{x^3}$ ფუნქცია ზრდადია მთელ თავის განსაზღვრის არეში.
6. იპოვეთ შემდეგ ფუნქიათა ზრდადობისა და კლებადობის შუალედები:

ა) $y=-x^3\ln x$; ბ) $y=xe^{-5x}$; გ) $y=x+2\cos x$.

*მაია თევდორაშვილი*

*თბილისის ილია ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მათემატიკის მასწავლებელი*

## ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა სოციალურად დაუცველი პირველკლასელები – ლუკა გულედანი, ალექსანდრე ქუმსიაშვილი და ლიზი ნანავა კერძო სკოლაში მიიყვანეს, სადაც ისინი 15 სექტემბრიდან დაიწყებენ სწავლას. „თბილისის მწვანე სკოლაში“ მინისტრებმა მოსწავლეებს პირადად გააცნეს გარემო, სადაც მომავალში ისწავლიან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, ახალ პროექტს იწყებს. 2012-2013 სასწავლო წლიდან პირველკლასელები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან საუკეთესო კერძო სკოლებში უფასოდ დაიწყებენ სწავლას. პროექტი იმ მოზარდებს შეეხება, რომელთა ოჯახებისთვის მინიჭებული ქულა 57 000-ის ქვემოთაა ან რომელთა ოჯახებიც განსაკუთრებულ თანადგომას საჭიროებენ.



ახალი პროექტი, ძირითადად, იმ კერძო სკოლებში განხორციელდება, რომელთაც საჯარო სკოლები შეიძინეს და მათი რეაბილიტაცია მოახდინეს, გადახდილი თანხა კი, ახლომდებარე სკოლების ინფრასტუქტურის განვითარებას მოხმარდა. გარდა ამისა, კერძო სკოლაში მუდმივად რჩება ის უფასო კონტინგენტი, რომელიც აქ საჯარო სკოლის შესყიდვამდე სწავლობდა. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ კერძო სკოლაში ახალი კონტინგენტის მიღებისას უპირატესობა სოციალურად დაუცველი ოჯახების მოსწავლეებს ენიჭებათ.

გასულ წელს „თბილისის მწვანე სკოლამ“ 134-ე საჯარო სკოლა შეიძინა და დღეს ინფრასტრუქტურით საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა. სკოლას ორი თანამედროვე ბიბლიოთეკა, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ოთახები და ლაბორატორიები აქვს. სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, ავტონომიური დაცვისა და უსაფრთხოების თანამედროვე სისტემა. სკოლა უმაღლესი რანგის სერტიფიცირებული პედაგოგებითაა დაკომპლექტებული. ეზოში განლაგებულია ჩოგბურთის კორტი, ღია სპორტული მოედნები, კალათბურთის დარბაზი, კაფეტერია, ღია ფანჩატურები და სკვერები. „თბილისის მწვანე სკოლის“ სოციალურად დაუცველი მოსწავლეები იმავე პრივილეგიებით ისარგებლებენ, რომლითაც კერძო სკოლის სხვა მოსწავლეები სარგებლობენ.

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

# გამარჯობა, საქართველო!

**– გამარჯობა, კოტე. მოგესალმებით საქართველოდან.**

**მინდა, თქვენ შესახებ საუბარი დავიწყოთ თავიდან. სწავლობდით თბილისში, კომაროვის სახელობის მათემატიკურ სკოლაში და იყავით საკმაოდ წარმატებული მოსწავლე. გვიამბეთ სასკოლო ცხოვრების შესახებ.**

გამარჯობა, საქართველო. დიდი მადლობა რომ მომიწვიეთ თქვენი გაზეთის რუბრიკის სტუმრად.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, მშობლებმა V კლასიდან შემიყვანეს პროგრამირების ლოგიკის წრეზე, რომელიც ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ფუნქციონირებდა. იქ რომ არ მევლო, ზუსტად ვიცი, ჩემი განათლება, კარიერა და ცხოვრება გაცილებით უინტერესო იქნებოდა.

მეშვიდე კლასიდან ვსწავლობდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში (ე.წ. კომაროვში). ბავშვობიდან მიზიდავდა მათემატიკა, პროგრამირება და ფიზიკა, ამიტომ სკოლასაც მშვენივრად მოვერგე. სკოლაში ყოველ წელს ტარდებოდა ოლიმპიადები სამივე საგანში, რაშიც აქტიურად ვმონაწილეობდი. სასკოლო ტურში გამარჯვებული მოსწავლეები მონაწილეობას აგრძელებდნენ რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ ტურებში. მე, ფაქტობრივად, ყოველ წელს ვხვდებოდი რესპუბლიკურ ოლიმპიადებში და ბევრი მათგანი მოგებულიც მაქვს. სულ, თუ არ ვცდები, 30-მდე სხვადასხვა ხარისხის დიპლომი მაქვს მიღებული სკოლის დროს. ამ წარმატებების გამო მიმიწვიეს საქართველოს ნაკრებ გუნდებში მათემატიკასა და პროგრამირებაში. 1996 წელს ვმონაწილეობდი ინდოეთსა და უნგრეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატებზე მათემატიკასა და პროგრამირებაში.

**– სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელეთ...**

დიახ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე და, პარალელურად, მეორად – იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობდი, რომელიც მეგონა, რომ არასდროს გამომადგებოდა. 15 წლის მერე ვხვდები, რომ ძლიერ ვცდებოდი და იურიდიულ ცოდნას, ფაქტობრივად, ყოველდღიურად ვიყენებ. გარდა ამისა, პირველი კურსიდან ვმუშაობდი ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში „ეგმ" (ელექტრონული გამომთვლელი მანქანა) პროგრამული უზრუნველყოფისა და ინფორმაციული მომსახურების განყოფილებაში ლაბორანტის თანამდებობაზე (მაშინ პროგრამისტებს ასე ერქვათ). ამავდროულად, ვასწავლიდი პროგრამირებას და ლოგიკას V-VII-კლასელ ბავშვებს, რომლებიც ჩემსავით კლასგარეშე წრეზე დადიოდნენ.

**როგორ და რით მიიქციეთ სპეციალისტების ყურადღება, რომლებმაც, ასე ვთქვათ, გამოგარჩიეს სხვა სტუდენტებისგან და მეტად საპასუხისმგებლო საქმე ჩაგაბარეს?**

როგორც მოგახსენეთ, ი. ვეკუას სახელობის ინსტიტუტში ბავშვობიდან დავდიოდი და მისი სახელით ხშირად გამოვდიოდი საქალაქო ნორჩ პროგრამისტთა კონკურსებზე, რამდენიმეჯერ მოგებულიც მაქვს. ალბათ, წლების განმავლობაში ჩემში ჩადებული ინვესტიციის გასხვისება არ სურდათ და გადაწყვიტეს საშუალება მოეცათ, ჩემი ცოდნა მომავალი თაობებისთვის გადამეცა, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს და საშუალება რომ მქონდეს, დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი მასწავლებლად.

**– რა იყო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, რით დაიწყეთ პროფესიული კარიერა?**

ჯერ კიდევ მესამე კურსზე დავიწყე მუშაობა არასამთავრობო ჰუმანიტარულ ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენში", რომელიც საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების და ბავშვთა სახლების დახმარების პროექტებს ახორციელებს. ჩემი საწყისი თანამდებობა იყო საინფორმაციო ტექნოლოგიების ასისტენტი, თუმცა, რამდენიმე თვეში დამაწინაურეს ჯერ ბავშვთა სახლების პროექტების მენეჯერად, შემდეგ კი ფინანსურ დირექტორად. მაშინ ჩემთვის ფინანსები ახალი ხილი იყო და მისი ჩქარი ტემპით შესწავლას შევეცადე, სხვათა შორის, მათემატიკასა და ფინანსებს შორის ძალიან ბევრი საერთოა და ახალი მასალა არცთუ ისე ახალი აღმოჩნდა.



2000 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე. ამ დროისთვის ფინანსებმა ისე გამიტაცა, რომ გადავწყვიტე მაგისტრატურაში სწავლა სწორედ ამ განხრით გამეგრძელებინა. რამდენიმე ჩემი მეგობარი საზღვარგარეთ სწავლობდა და აღფრთოვანებული მიყვებოდნენ უცხოური უნივერსიტეტების შესახებ. მაშინ, უსახსრობის გამო, უცხოეთში წასვლა ვერ მოვახერხე. მოგეხსენებათ, ფინანსური განათლების ცენტრი ამერიკაა. ამიტომ მეც ამერიკული უნივერსიტეტების მოძიება დავიწყე. მოხდა ისე, რომ რამდენიმე წელი ვმუშაობდი „ვორლდ ვიჟენის" ინგუშეთის, ხოლო შემდეგ კი ზიმბაბვეს ოფისში ფინანსურ დირექტორად. ამ ტრანსფერმა მომცა უამრავი გამოცდილება, მოგონებები და, რაც მთავარია, სახსრები, რომ მესწავლა ამერიკაში.

**– ამის შემდეგ სასწავლებლად გაემგზავრეთ ამერიკაში, კერძოდ, ვაშინგტონში. მიამბეთ ამ სასწავლებლის შესახებ – რა მსგავსება და განსხვავებაა ქართულ უნივერსიტეტსა და ამერიკის უმაღლეს სასწავლებელს შორის? ალბათ, ძალიან დიდი...**

2004 წელს სამუშაოდ გადავედი „ვორლდ ვიჟენის" ამერიკის ოფისში უფროს ფინანსურ ოფიცრად და, პარალელურად, ჩავაბარე ჯორჯთაუნის ეორგეტონის უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრაციის ფაკულტეტზე. ჩემდა საბედნიეროდ, იმ ფაქტმა, რომ თსუ მქონდა წარჩინებით დამთავრებული, მქონდა არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის და აფრიკისა და ევრაზიის კონტინენტებზე ცხოვრების გამოცდილება, მიმღები კომისიის ყურადღება მიიპყრო და რამდენიმე გამოცდის და გასაუბრების შემდეგ მიმიღეს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის MBA-ს საღამო ფაკულტეტზე, რომელიც მომუშავე პროფესიონალებზეა გათვლილი. სწავლა ქართული სისტემისგან ბევრად განსხვავებულია და პირველი სემესტრი ძალიან გამიჭირდა. ყველაზე დიდი პრობლემა გრაფიკში ჩაჯდომა იყო. კლასები ძალიან დატვირთული იყო. ერთი დღეც რომ არ იმეცადინო სათანადოდ, დიდი შანსია, რომ სწორედ იმ დღეს მიიღო ცუდი ნიშანი. რამდენიმე განსხვავება, რაც ადვილად შეინიშნება, ისაა, რომ ყველა მოსწავლის მერხზე მითითებულია მისი სახელი და პროფესორებმა იციან, ვინ სვამს კითხვას და ვინ პასუხობს. პროფესორები, ყოველი ლექციის შემდეგ (ხანდახან ლექციის დროსაც), ინიშნავენ, ვინ დასვა საზრიანი შეკითხვა და ვინ უპასუხა ჭკვიანურად. თითქმის ყველა საგანში ნიშნის 20-30% შედგება კლასში მიღებული მონაწილეობისგან და თუ ლექციების მსვლელობისას არ იაქტიურებ, გარანტირებული გაქვს, რომ B-ზე (ჩვენებურად 4-იანზე) მეტს ვერ მიიღებ. კიდევ ერთი აღსანიშნავი სხვაობა ისაა, რომ თუ საშუალო ნიშანი გექნება B (4-იანი), დიპლომს ვერ აიღებ, რაც ავტომატურად მოტივაციაა ყველა სტუდენტისთვის, რაც შეიძლება კარგად ისწავლოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თითქმის ყველა საგანს ჰქონდა ჯგუფური დავალება, რომელსაც 4-5-კაციანი ჯგუფები ასრულებენ. ყველა ერთსა და იმავე ნიშანს იღებს ამ დავალებაში. ამის გამო, კლასელებთან ძალიან დავახლოვდი და დღემდე ვმეგობრობთ.

**– კოტე, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები და როგორ იყო თქვენ შემთხვევაში?**

ამერიკაში წარჩინებულ სტუდენტებს, როგორც წესი, აქვთ უნივერსიტეტის დახმარება – ისინი თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისგან, რაც, სხვათა შორის, ძალიან ძვირია. სამწუხაროდ, ჯორჯთაუნის MBA-ს საღამო ფაკულტეტს წარჩინებული სტუდენტების დახმარების პროგრამა არ აქვს. უმთავრესად იმიტომ, რომ ეს კერძო უნივერსიტეტია და მთავრობისგან მსგავს დახმარებას ნაკლებად იღებს. ასევე, არაერთხელ გამოგვიცხადეს, რომ მომავალი წარჩინებული ბიზნეს ადამიანებისთვის ადვილია სესხის აღება და სწავლის დამთავრების შემდეგ მისი დაფარვა, ვიდრე სხვა სტუდენტებისთვის, შესაბამისად – ფულადი დახმარებები ბიზნესის სტუდენტებისთვის არ არის გათვლილიო. ბიზნესსკოლის წარჩინებით დამთავრებას, რა თქმა უნდა, თავისი პლუსები მაინც აქვს, როგორიცაა დამთავრების ცერემონიის დროს სპეციალური სამოსელის ჩაცმა, ცერემონიის დროს ცხადდება, რომ სტუდენტი წარჩინებით ამთავრებს მაგისტრატურას და ამერიკის წარჩინებულ ბიზნეს სკოლადამთავრებულთა ასოციაციაში წევრიანდება. სხვათა შორის, იმის გამო, რომ ამ ტიტულის რეზიუმეზე დაწერა საკმაოდ მიღებული ნორმაა, კადრების განყოფილების ძალიან ბევრი თანამშრომელი აკვირდება, აქვს თუ არა კანდიდატს წარჩინებით დამთავრებული ბიზნესსკოლა. ბევრი პრესტიჟული ბანკი არც კი იწვევს გასაუბრებაზე იმ სტუდენტებს, რომლებსაც წარჩინებით არ აქვთ დამთავრებული მაგისტრატურა.

**– ზოგადად, რა შეგიძლიათ გვიამბოთ ამერიკის განათლების სისტემაზე**

ამერიკის განათლების სისტემას, ჩემი აზრით, თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები აქვს. ზოგადად, ამერიკულ უნივერსიტეტებს, განვითარების მაღალი დონით, ფაქტობრივად, მსოფლიოში ბადალი არ ჰყავთ. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთს და სხვა ევროპულ ქვეყნებსაც არანაკლებად განვითარებული უმაღლესი განათლების სისტემები აქვთ, სამწუხაროდ, უნივერსიტეტში სწავლა ამერიკაშიც კი ფუფუნებად ითვლება და ბევრი ამას ვერ ახერხებს. მოსახლეობის სულ რაღაც 30% იღებს ბაკალავრის დიპლომს და მხოლოდ 8% ამთავრებს მაგისტრატურას. რაც შეეხება დაწყებით სკოლებს, ჩემი აზრით, პოსტსაბჭოური განათლების სისტემა არაფრით ჩამოუვარდება ამერიკულს. პირიქით, ზოგ ტექნიკურ საგანში სჯობნის კიდეც. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ ბევრი ჩემი თანაკლასელი საკმაოდ წარჩინებით მოღვაწეობს ამერიკის უნივერსიტეტებში და უმრავლესობამ პროფესორის ტიტულიც კი მოიპოვა.

**– სწავლის პერიოდში ხომ არ გიმოგზაურიათ რომელიმე ქვეყანაში. რამდენადაც ვიცი, ასეთი სასწავლებლები აწყობენ სამოგზაურო ტურებს...**

ჩვენი სასწავლო პროგრამით, ერთ-ერთი საგანი უცხოური კომპანიისთვის კონსულტაციის გაწევას ითვალისწინებდა. პირველი ნაწილი შედგებოდა თეორიული საკითხების შესწავლისგან, რასაც მოჰყვებოდა თვენახევრიანი რეალური პრობლემის განხილვა უცხოურ კომპანიასთან და 10-დღიანი ვიზიტი უცხო ქვეყანაში. ჩემს ჯგუფს შეხვდა ინდოეთის ქალაქ მუმბაიში (ბომბეი) მოქმედი ბომბეის აქციების ბირჟის თვითრეგულირებაზე გადასვლის ანალიზი. პროექტი ძალიან საინტერესო იყო და არცთუ ისე მარტივი. თვენახევრიანი ანალიზის შემდეგ, გავემგზავრეთ ინდოეთში, სადაც ჩავატარეთ დასკვნითი ინტერვიუები, მოვამზადეთ საბოლოო პრეზენტაცია და წარვსდექით ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. ინდოეთის გარდა სტუდენტები ყოველ წელს მიემგზავრებიან ბრაზილიაში, სამხრეთ აფრიკაში, ჩინეთში, იაპონიასა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. თითოეული ჯგუფი პროექტს ირჩევს წინასწარ მომზადებული პროექტების ჩამონათვალიდან, რომელიც მოიცავს ფინანსურ, მარკეტინგულ, ოპერაციულ და სტრატეგიულ პრობლემებს, რომლებსაც მარტივი გადაწყვეტილება არ გააჩნიათ.

**– როგორ ცხოვრობენ ამერიკელი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული?**

ამერიკაში ახალგაზრდობა ცხოვრობს საკმაოდ ჯანსაღი ცხოვრებით, განსაკუთრებით ვაშინგტონში, სადაც ძალიან ბევრი ჩოგბურთის მოედანი, ველოტრასა, სარბენი ბილიკი და საცურაო აუზია. როგორც მოგეხსენებათ, საოფისე ცხოვრება ადუნებს ფიზიკურ მომზადებას და საჭიროა აქტიური ცხოვრების სტილით დაბალანსება, რათა შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა. მეც თითქმის ყოველდღე ვცდილობ, რაიმე ვაკეთო – ხან დავრბივარ, ხან ველოსიპედით დავდივარ, ხანაც გოლფით ან ჩოგბურთით ვარ დაკავებული.

**– ამერიკაში, სტუდენტობის პერიოდში, სად და როგორ ატარებდით თავისუფალ დროს?**

რომელ თავისუფალ დროს? სტუდენტობის პერიოდში თავისუფალი დრო, ფაქტობრივად, არ გამაჩნდა. დილით მივდიოდი სამსახურში, სამსახურიდან პირდაპირ უნივერსიტეტში ან სახლში სამეცადინოდ. შაბათ-კვირას 15-20 საათი ვმეცადინეობდი. თუ რაიმე დრო მრჩებოდა, ვცდილობდი სპორტით დავკავებულიყავი, რათა სტრესი მომეხსნა.

**– რამდენადაც ვიცი, რამდენიმე კომპიუტერული პროგრამის ავტორი ხართ, თანაც სხვადასხვა ენაზე, იქნებ დაწვრილებით ისაუბროთ ამის შესახებ**

IX კლასში დავწერე პოსტის მანქანა, რომელიც ემილ პოსტის მიერ არის გამოგონილი. პოსტის მანქანა არის უსასრულო ლენტა, რომელზეც მომხმარებელს შეუძლია დაწეროს ერთიანები და ნულიანები. ერთიანებით და ნულიანებით დგება რიცხვები და, მარტივი ბრძანებების გამოყენებით, პოსტის მანქანა წერს 1-იანებს, 0-ებს და ამოწმებს ლენტაზე 1-იანი წერია თუ 0-იანი. ამ მარტივი ბრძანებებით შესაძლებელია შეიქმნას პროგრამები, რომლებიც უმატებს ორ რიცხვს, ამრავლებს ორ რიცხვს ერთმანეთზე და ასრულებს სხვა მათემატიკურ ოპერაციას. ჩემ მიერ დაწერილი პროგრამა საშუალებას აძლევდა სტუდენტებს, შეეყვანათ თავიანთი დაწერილი პროგრამა კომპიუტერში და თვალნათლივ ენახათ, რა მოსდის პოსტის მანქანის ლენტას მათი პროგრამის შედეგად. პოსტის მანქანა ერთ-ერთი საშუალებაა ახალგაზრდა, დამწყებ პროგრამისტებში ლოგიკის გასავითარებლად და დღემდე გამოიყენება ბევრ ქვეყანაში.

**– ამჟამად რით ხართ დაკავებული, როგორ ცხოვრობთ, რას საქმიანობთ?**

ვმუშაობ არასამთავრობო ორგანიზაციის „World Learning" სათავო ოფისში ფინანსურ დირექტორად. ჩვენი ორგანიზაცია იღებს გრანტებს საგანმანათლებლო და გაცვლითი პროგრამების განსახორციელებლად სხვადასხვა ორგანიზაციებისგან და დონორებისგან (უმთავრესად ამერიკის მთავრობისგან). ასევე ორგანიზაციას ეკუთვნის უნივერსიტეტი ვერმონტის შტატში, რომელიც ერთ-ერთ პრესტიჟულ სასწავლებლად ითვლება ინგლისური ენის მასწავლებელთათვის.

მე და ჩემი გუნდი ვმართავთ ორგანიზაციის ფინანსებს, აღრიცხვას, ხაზინას და საინფორმაციო ტექნოლოგიებს. ორგანიზაციაში 1000-ზე მეტი თანამშრომელია და წლიურად 100 მილიონ დოლარზე მეტს ვხარჯავთ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში. ორგანიზაციას წელს 80 წელი შეუსრულდა და აქვს ოფისები მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში.

**– როგორ გესახებათ მომავალი, სად აპირებთ დამკვიდრებას?**

მომავალზე ცოტა ძნელია საუბარი XXI საუკუნეში, როცა ყველაფერი ასე სწრაფად იცვლება. ჩემი პირადი მომავალი, ალბათ, გაჯერებული იქნება ოჯახის სიყვარულით, კარიერით და მუდმივად ახალი ცოდნის ათვისებით. წელს ჩავაბარე ამერიკის სერტიფიცირებული სახალხო ბუღალტრის გამოცდები და, ალბათ, ცოტა ხანი დავისვენებ სანამ კიდევ გამოვნახავ რამე ახალს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, დიდხანს ვერ გავძლებ რაიმე ახლის შესწავლის გარეშე...

*ესაუბრა*
***მაკა ყიფიანი***

ქართველი ემიგრანტები

# გზა საქართველოდან ამერიკამდე



ვახტანგ საყვარელიძე

უკვე მეორე წელია, გაზეთ „ახალ განათლებაში“ პერიოდულად იბეჭდება პროექტის „არდავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“ ფარგლებში მომზადებული წერილები, რომლებიც ეძღვნება აშშ-ში მცხოვრებ ნაკლებად ცნობად, მეორე თაობის ემიგრანტების ცხოვრების გზას საქართველოდან ამერიკამდე.

ჩვენ მოგვეცა საშუალება გავსაუბრებოდით ბატონი ვახტანგ საყვარელიძის ქალიშვილს, ქალბატონ ნელის.

101 წლის წინ, ქალაქ თელავში, ილია და საშა საყვარელიძეებს შეეძინათ პირველი ვაჟიშვილი ვახტანგი. ის თავიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით, რის გამოც პირველი კლასის მოსწავლე ერთი თვის შემდეგ გადაიყვანეს მეორე კლასში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის საბუღალტრო სასწავლებელში, თან მუშაობდა რევიზორ-ბუღალტრად. 1931 წელს დაოჯახდა ქალბატონ ეკატერინეზე. 1933 წელს მათ შეეძინათ ვაჟიშვილი თენგიზი, ხოლო 1939 წელს – ქალიშვილი ნელი.

1941 წელს ბატონი ვახტანგი გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში 3 თვით. ვახტანგის დედა და ცოლ-შვილი მის სანახავად ჩავიდნენ. წლინახევრის ნელიმ მამა იუცხოვა, თენგიზმა კი ტირილი დაიწყო. დედის კითხვაზე, თუ რატომ ტიროდა, ბავშვმა უპასუხა – „მამა აღარ მოვა“. თითქოს ეს მისი წინათგრძნობა იყო.

1941 წლის 22 ივნისი: *„სალამი ჩვენებს, ეს არის მოვისმინეთ რადიოგადაცემა, რომ გერმანიამ დაიწყო ბრძოლა ჩვენ წინააღმდეგ. რა ბედი მოგველის არავინ იცის, მაგრამ ერთ რამეს გთხოვთ: ძალიანაც ნუ იდარდებთ, რაც იქნება, იქნება – მე აქ გავუფრთხილდები ჩემს თავს და მანდ თქვენ გაუფრთხილდით თქვენს თავს.*

*კატუშ! ბავშვებს ძალიან გაუფრთხილდი, დედი, კარგად იყავით, შენს თავს და ჩემს ცოლ-შვილს გაუფრთხილდი.“*

ბატონმა ვახტანგმა თავისი ოჯახი ასევე მის უმცროს ძმას – 16 წლის ლადიკოს ჩააბარა – *„აბა, შენ ხარ ახლა მამაკაცი მანდ, ეცადე უკაცობა არ დაატყო ოჯახს.“*

ბატონმა ლადომ არ შეასრულა ძმის თხოვნა, რადგანაც მოხალისედ წავიდა ჯარში. იგი ომიდან ორივე ფეხმოჭრილი დაბრუნდა. შუათანა ძმა ლევანი კი ომიდან აღარ დაბრუნებულა.

ბატონ ვახტანგს ომის დაწყებამ ქალაქ თბილისში სამხედრო სამსახურში მოუსწრო. იგი სხვა ჯარისკაცებთან ერთად ფეოდოსიაში გაამწესეს. სწორედ აქ, 1942 წელს ჩავარდა ტყვედ. საკონცენტრაციო ბანაკში გატარებული ყოველი დღე გაუსაძლისი იყო. მოგვიანებით, ბანაკი გადაგზავნეს გერმანიაში. ტყვედ ჩავარდნამდე ვახტანგი იწერებოდა, რომ ფრონტის ხაზზე შეხვედრია თავის ბიძაშვილებს, საშა და მიშა გოგიაშვილებს.

1942 წლის შემდეგ ოჯახს ვახტანგის წერილები აღარ მიუღია.

ომის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში, სადაც ქართველ მეგობართან ერთად საკუთარი ხელით შეკეთებულ პატარა ოთახში დაიწყეს ცხოვრება.

თელავში საყვარელიძეების ოჯახს ბატონი ვახტანგის შესახებ ერთადერთი ცნობა ჰქონდა – „უგზო-უკვლოდ დაკარგული“, თავად ბატონ ვახტანგს კი არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდა ოჯახის შესახებ.

1955 წელს ბატონი ვახტანგი საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. ნიუ-იორკში ძნელი იყო ნულიდან ცხოვრების დაწყება, თუმცა გამოსავალი მაინც იპოვა. წამლებისთვის სხვადასხვა მცენარეებს აგროვებდა, აბარებდა და ამით ირჩენდა თავს. დაუღალავი შრომით დააგროვა გარკვეული თანხა, შეიძინა სახლი.

ნიუ-იორკში ცხოვრებისას გაიცნო მასავით ტყვედ ნამყოფი ირაკლი მენთეშაშვილი, რომელსაც საქართველოში ოჯახთან უკვე ჰქონდა კავშირი. ბატონმა ირაკლიმ საქართველოში მცხოვრებ შვილებს სთხოვა თელავში ვახტანგ საყვარელიძის ოჯახი მოეძებნათ და მათთვის წერილი გადაეცათ. 1965 წლის ნოემბერში, როდესაც ბატონმა ირაკლიმ ვახტანგის წერილი გადასცა მის ოჯახს – *„ორ ახლო მეგობარს უნდოდა მის ოჯახთან დაკავშირება, რათა მათ დახმარებოდნენ“*, ქალბატონი კატო მაშინვე მიხვდა, რომ მისი მეუღლე ცოცხალი იყო და შვილებს ახარა მამის გადარჩენა, საჭირო იყო ამ ინფორმაციის დაზუსტება.

როგორც ქალბატონი ნელი იხსენებს, მან მაშინვე მისწერა ირაკლი მენთეშაშვილს წერილი, სადაც დაწვრილებით წერდა თავისი ოჯახის შესახებ და ბოლოს სთხოვა, თუ მამის ამხანაგი ის არის, ვინც ჩვენ გვგონია, მასთან დაკავშირება გვინდაო. როდესაც ირაკლიმ წერილი მიიღო, მოიწვია ბატონი ვახტანგი. მან ვერ შეძლო წერილის წაკითხვა, ამიტომ ამის გაკეთებაც ბატონ ირაკლის მოუწია. 25 წლის შემდეგ ბატონმა ვახტანგმა პირველად გაიგო საკუთარი ოჯახის ამბები – რომ არც მამა და არც მისი ძმა ლევანი ომიდან არ დაბრუნებულან, ხოლო მეორე ძმა ლადო დაინვალიდებულა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა შეიტყო, რომ მის დედას და მეუღლეს არაჩვეულებრივად გაუზრდიათ ორივე შვილი – ნელი გათხოვილა და წლინახევრის ნინო ჰყოლია, თენგიზი კი ჯერ არ დაოჯახებულა. ეს წერილი გახდა დიდი ხნის უნახავი ოჯახის წევრების დამაკავშირებელი.

ქალბატონი ნელი იხსენებს: *„მამის წერილი რომ მოვიდა, ეს იყო ენით აუწერელი სიხარული ჩვენთვის, გამოჩნდა მამა, რომელიც ცოცხალი აღარ გვეგონა, ის კარგად იყო და ამერიკაში ცხოვრობდა. გარეთ რომ გავედი, ყველაფერი ვარდისფრად ანათებდა, ყველაფერი ჩემთან ერთად მღეროდა“.*

საქართველოს რბილ კლიმატს შეჩვეულმა კაცმა ვერ აიტანა ნიუ-იორკის მკაცრი ჰავა და საცხოვრებლად კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა-ბარბარაში გადავიდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მილიარდელთა ამ ქალაქში ბინა დაიდო ორმა ქართველმა, აქედან ერთ-ერთი იყო ბატონი ვახტანგ საყვარელიძე, იგივე ვალტერ საყვარელი. უცხო ქვეყანაში ცხოვრებისას მიუღია გადაწყვეტილება, თავდაუზოგავი შრომითა და ცხოვრების პატიოსანი წესით დაემტკიცებინა ყველასთვის ცივილიზებული ქვეყნის შვილობა. იგი მუშაობდა General-electric-ის ფირმაში, სადაც გამოადგა საქართველოში ნასწავლი ბუღალტერია, ნახაზების კითხვა. აგებდა იახტებს, იღებდა შეკვეთებს და ამზადებდა პატარა დეტალებს კოსმოსური ხომალდებისთვის. ამასთანავე, სისტემატურად მონაწილეობდა ქართული სათვისტომოს ცხოვრებაში.



ქალიშვილთან, ნელისთან ერთად



ვაჟთან, თენგიზთან ერთად

1976 წლის აგვისტოში, 35 წლის განშორების შემდეგ, მამა-შვილი – ბატონი ვახტანგი და ქალბატონი ნელი ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მიწაზე. ქალბატონმა ნელიმ კიდევ ორჯერ მოინახულა მამა. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მამის ხელით გაშენებულმა ადესის ხეივანმა, ოცნების ხიდმა, რომელსაც არანაირი ფუნქცია არ ჰქონდა, გარდა ერთისა, მასში ქვეცნობიერად განხორციელდა სამშობლოს დაუოკებელი სიყვარული, გაუნელებელი სევდა და ოცნება მასზე. ასევე გააკვირვა ათასწლოვანმა ხემ.

1977 წელს მამის სანახავად ჩავიდა მისი ვაჟი თენგიზი, ხოლო 1989 წ. ბაბუა მოინახულა შვილიშვილმა (ქალბატონი ნელის ქალიშვილმა) ნინო საყვარელიძემ მეუღლესთან, დავით კახნიაშვილთან ერთად. თუმცა, ვერ მოხერხდა თენგიზის შვილების შეხვედრა ბაბუასთან.

წარმოუდგენელი სიხარული იყო დედაშვილის სატელეფონო საუბარი. სამწუხაროდ, მათ ერთმანეთი ვერ ნახეს. გაზეთ „თელავის ალაზანში“ გამოქვეყნდა წერილი „თელავშიც ელოდებიან“, მაგრამ ეს ოცნება ბატონმა ვახტანგმა ვერ აისრულა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 1993 წელს ისე გარდაიცვალა, რომ ვაჟის, თენგიზის გარდაცვალებაც არ იცოდა (1991წ.).

იგი დაკრძალულია სანტა-ბარბარას სასაფლაოზე.

მამის გარდაცვალებიდან 6 წლის შემდეგ, ვახტანგის მეგობრების დახმარებით, ქალბატონმა ნელიმ შეძლო მამის საფლავის მონახულება, რომელსაც საქართველოდან წაღებული მისი ეზოს მიწა მოაფრქვია.

გაზეთ „სამშობლოში“, 1990 წელს დაიბეჭდა სანტა-ბარბარაში მცხოვრები ვახტანგ საყვარელიძის სამძიმარი ბატონ რეზო თაბუკაშვილის გარდაცვალების გამო. ამონარიდი წერილიდან: *„ჩემის აზრით დიდი ადამიანები არ კვდებიან, ისინი მხოლოდ სამუდამო ძილს ეძლევიან, ვინაიდან მათი დატოვებული შრომა სამუდამოდ ცოცხლობს და თაობიდან თაობებს გადაეცემა“.*

ქველმოქმედების სახით, ბატონმა ვახტანგმა „საქართველოს უცხოეთთან წარსული და თანამედროვე ურთიერთობების საზოგადოების ფონდში“, ქალბატონ ნელის დახმარებით, 500 მანეთი გადარიცხა. მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართულ სათვისტომოსაც, რომელთანაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა; ასევე ფინანსური დახმარება გაუწია პრეზიდენტობის მაშინდელ კანდიდატს, რონალდ რეიგანს, რომელმაც გაპრეზიდენტების შემდეგ მადლობის წერილი და ხელმოწერილი სურათი გაუგზავნა.


Ronald Reagan
President of the United States
hereby presents this
Certificate of Appreciation
to
MR. W. I. SAKWARELI
in recognition of the
generous support given to the
Republican National Committee
and the
1988 Presidential Campaign
this 8th day of July, 1988.
Ronald Reagan
Ronald Reagan
President of the United States



ჩვენ ხელთ გვაქვს ლექსი, რომელიც ბატონ ვახტანგს მისმა მეგობარმა ერემიამ მიუძღვნა (იხ. – www.emigrantebi.weebly.com).

ასეთი იყო ბატონ ვახტანგის მიერ განვლილი საკმაოდ რთული გზა საქართველოდან შორეულ ამერიკამდე.

ვახტანგ საყვარელიძის ოჯახი იზრდება და მრავლდება. ბატონი თენგიზის შვილები – ლევანი, ვახტანგი და შვილიშვილები მის ფუძეზე ცხოვრობენ ქალაქ თელავში. ხოლო ქალბატონი ნელი, ნინო და ბატონი დავით კახნიაშვილი წარმატებით უძღვებიან საქართველოს მომავალი თაობის აღზრდა-განათლების კეთილშობილურ საქმეს კერძო საგანმანათლებო სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესში“, იმავდროულად, იღვწიან, რომ მომავალმა თაობებმა გაიცნონ და ღირსეულად დააფასონ საქართველოდან შორს, უცხო მხარეში ბედის უკუღმართობით მოხვედრილი მეორე თაობის ემიგრანტები, რომლებმაც ღირსეულად შეინარჩუნეს ქართული ენა და ქართული ტრადიციები.

ა/წლის 1 აპრილს კერძო სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესში“ ჩატარდა ბატონ ვახტანგ საყვარელიძისადმი მიძღვნილი საღამო, სადაც $X^{ა}$ და $X^{ბ}$ კლასის მოსწავლეებმა, ბატონ ვახტანგთან ერთად, სხვა ემიგრანტებიც გაიხსენეს.

**ანა გორდელაძე, ნინო ზივზივაძე**
*კერძო სკოლა-ლიცეუმის „მწიგნობართუხუცესის“ მოსწავლეები*



## იურისტის კონსულტაცია

**აქვს თუ არა უფლება სკოლის პედაგოგს შესაბამისი ორგანოს წინაშე დააყენოს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და რა წესით ხდება მანდატურისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება?**

სკოლის პედაგოგს მანდატურის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების საკითხის დაყენება შეუძლია წერილობითი ფორმით (წარდგინებით).

წარდგინებას თან უნდა ახლდეს მანდატურის მიერ დისციპლინური გადაცდომის ამსახველი დასაბუთება. იგი უნდა მოიცავდეს მანდატურის სახელს, გვარს, თანამდებობას, დისციპლინური გადაცდომის არსს, მონაცემებს, რომლებიც ადასტურებს გადაცდომის ფაქტს, დასაბუთებას შესაძლო დისციპლინური სახდელის შეფარდების თაობაზე, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თარიღს.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსს შეუძლია, მანდატურის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში, მანდატური ჩამოაშოროს სამსახურს. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის დისციპლინური გადაცდომის განხილვის მიზნით, მანდატურის სამსახურის უფროსი ქმნის დისციპლინური გადაცდომის განმხილველ ორგანოს, რომელიც განიხილავს მანდატურის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

**რის საფუძველზე შეიძლება დაიწყოს სკოლის მანდატურის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოება?**

სკოლის მანდატურის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველია:

ა) დაინტერესებული პირის საჩივარი ან შუამდგომლობა;
ბ) დაზარალებულის საჩივარი;
გ) დისციპლინური დარღვევის ფაქტი;
დ) ცხელი ხაზიდან შემოსული შეტყობინება (გარდა ანონიმურისა);
ე) პრესაში, ტელევიზიით ან სხვა საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია.

**სკოლის პედაგოგს, მანდატურის მხრიდან მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, შეუძლია დააყენოს მანდატურის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, რომელსაც განიხილავს მანდატურის სამსახურის უფროსის მიერ შექმნილი დისციპლინური გადაცდომის განმხილველი ორგანო, 5 წევრის შემადგენლობით.**

**რა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები გამოიყენება სკოლის მანდატურის მიმართ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში?**

დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის, მანდატურის მიმართ, გამოიყენება შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები:

ა) გაფრთხილება;
ბ) საყვედური;
გ) სასტიკი საყვედური;
დ) ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;
ე) სამსახურიდან დათხოვნა (გათავისუფლება).

**ილახება თუ არა იმ მოსწავლეთა განათლების უფლება, რომელთაც საცხოვრებელი ადგილებიდან საჯარო სკოლების მოშორებით მდებარეობის გამო, უხდებათ დიდი მანძილის ფეხით გავლა სკოლამდე მისასვლელად?**

სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს განათლების მიღების უფლების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, სათანადო ინფრასტრუქტურისა და სოციალ-ეკონომიკური პირობების შექმნით.

**ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მაქსიმუმ რამდენი მოსწავლე შეიძლება იყოს კლასში?**

კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 30 მოსწავლით. გამონაკლისი დაიშვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან წერილობითი შეთანხმებით. ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 35-ს.

**ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, რა შემთხვევაში არის დასაშვები სკოლაში პარალელური კლასების არსებობა?**

პარალელური კლასების არსებობა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ პარალელურ კლასში მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობა არის 18. გამონაკლისი მოსწავლეთა რაოდენობასთან დაკავშირებით, დაიშვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით.

**ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, რა ტიპის სკოლებშია დასაშვები კლას-კომპლექტების შექმნა და რა ოდენობას არ უნდა აღემატებოდეს კლას-კომპლექტებში მოსწავლეთა რიცხვი?**

მცირეკონტინგენტიან სკოლებში დასაშვებია კლას-კომპლექტების შექმნა. კლას-კომპლექტებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს. კლას-კომპლექტების შექმნის შემთხვევაში, რეკომენდებულია ისინი შეიქმნას საფეხურის ფარგლებში და ერთ კლას-კომპლექტში არ გაერთიანდეს ორ კლასზე მეტი.

**რა შემთხვევებში აქვს საჯარო სკოლას უფლება შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება?**

საჯარო სკოლას უფლება აქვს მშობლებთან შეთანხმებით შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა არ ხდება ამავე სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის მიერ;
ბ) დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას არა აქვს საგაკვეთილო სახე;
გ) დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა არ ხდება შესაბამისი მოსწავლისათვის საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობის დროს.

**რა წესით უნდა იყოს მოსწავლისათვის შეთავაზებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება?**

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისათვის შეთავაზებული ფაკულტატური ან სავალდებულო საგნის სახით. დამატებით სავალდებულო საგანზე დასწრება აუცილებელია კონკრეტული სკოლის/კლასის ყველა მოსწავლისთვის. დამატებით ფაკულტეტურ საგანს (წრეს) მოსწავლეები სურვილის მიხედვით ირჩევენ/ესწრებიან.

*თამარ ავალიანი*
*საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი*



ახალციხის №5 საჯარო სკოლის I კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე „ღრუბელი“ (პედაგოგი – **ხათუნა შეშაბერიძე**).

გაკვეთილს ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ჟენია მერაბიშვილი**, კათედრის ხელმძღვანელი **რიტა კირკიტაძე**, სკოლის პედაგოგები, ახალციხის ინსტიტუტის სტუდენტები, ხელმძღვანელი **მარეხი ნათენაძე** და მშობელთა კომიტეტის წარმომადგენლები.

კლასში სასიამოვნო გარემო იყო შექმნილი იმისათვის, რომ ბავშვებს თავიანთი შესაძლებლობები გამოემჟღავნებინათ.

პედაგოგმა მოსწავლეებს ისეთი ატმოსფერო შეუქმნა, რომ თავი ზღაპარში მეგონა. უამრავი თვალსაჩინოება ღრუბელზე, ბავშვების მუშაობა ბუკებზე. აქვე მინდა ბუკებისათვის უდიდესი მადლობა გადავუხადოთ ჩვენს პრეზიდენტსა და მთავრობას, რადგან ისინი ზრუნავენ ჩვენი მომავალი თაობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

სასიამოვნო მუსიკა, რომელმაც ღია გაკვეთილზე დამსწრეებიც კი აგვაცეკვა. ბავშვები პედაგოგის შეკითხვებს სიამოვნებით პასუხობდნენ. ისე დასრულდა გაკვეთილი, რომ ვერც კი ვიგრძენი.

გაკვეთილის დამთავრების შემდეგ სკოლის დირექტორმა ბავშვებს წინსვლა და წარმატებები უსურვა.

*მედეა მერაბიშვილი*
*ახალციხის №5 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი*




2012 წლის 29 აპრილს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში, შედგა აგროტური – სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე და დასრულებული პროექტის გაცნობა, რომელსაც ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

აგროტურს ხელმძღვანელობდა ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე სოფლის მეურნეობის დარგში **დავით ბუცხრიკიძე**, ხოლო ექსკურსიას უძღვებოდა აღნიშნული სამინისტროს წარმომადგენელი **ნატო კაპანაძე**.

აგროტურში, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მთავარ სპეციალისტთან, **ალექსანდრე მარტინენკოსთან** და სხვა სკოლების მასწავლებლებთან ერთად, ახალციხის № 5 საჯარო სკოლის პედაგოგებმაც მივიღეთ მონაწილეობა.

დავათვალიერეთ სამეურნეო დანიშნულების ობიექტები:

▪ წნისის საერთაშორისო სტანდარტის რძის გადამამუშავებელი და პირუტყვის კომბინირებული საკვების დამამზადებელი საწარმოები, რომლებიც შ.პ.ს. „ჯორჯიან ბიზნეს ზონის“ მფლობელობაშია;

▪ ქარელის (ბებნისის) სადემონსტრაციო ხეხილის ინტენსიური ბაღები, რომლებიც თანამედროვე ირიგაციის წვეთოვანი მორწყვის სისტემით ირწყვება;

▪ შინდისი – დაწვიმება (მორწყვის წრიული პივოტური საირიგაციო სისტემა).




მივიღეთ საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საკონსულტაციო ექსტენციის ცენტრების გახსნისა და მათი აღჭურვილობის შესახებ. შევიტყვეთ, რომ აღნიშნული ცენტრების კვალიფიციური მომსახურე პერსონალისა და თანამედროვე საკვლევი აპარატურის საშუალებით ფერმერს (გლეხს) გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს უკეთესად წარმართოს თავისი მეურნეობა.

აგროტური დასრულდა ბანკეტით, სადაც ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა **გელა დემეტრაძემ** მონაწილეებს საჩუქრები გადმოგვცა.

ახალციხის №5 საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგები დიდ მადლობას ვუხდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ყველა იმ ორგანიზაციასა და ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომლებიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაციას ეწევიან და საზოგადოებისათვის ასეთ შთამბეჭდავ აგროტურებს აწყობენ.

*მაია თათეშვილი*
*ახალციხის №5 საჯარო სკოლის ფიზიკის პედაგოგი*

ПАМЯТЬ

# НЕПРАВАДА, ДРУГ НЕ УМИРАЕТ, ЛИШЬ РЯДОМ БЫТЬ ПЕРЕСТАЁТ.

**/К. Симонов/**

Память, память, за собою позови
В те далёкие промчавшиеся дни.
Ты друзей моих ушедших оживи,
А живущим молодость верни.

Память, память, ты же можешь, ты должна
На мгновенье эти стрелки повернуть.
Я хочу не просто вспомнить имена,
Я хочу своим друзьям в глаза взглянуть.

Посмотреть в глаза – и глаз не отвернуть,
Уставать, шагать и снова уставать.
Дай мне, память, до конца тебя нести,
Дай мне силы ничего не забывать.

/Р. Рождественский/

Среди близких и дорогих нам людей немало и тех, с кем не связывают нас кровные узы, кто не является нашим родственником. Но иногда они более дороги, чем родня. Как говорит пословица, «родственников дарует нам бог, а друзей выбираем мы сами». А по каким мерилам, каким критериям – знаем только мы.

Жизнь без друзей обеднена и мало интересна. И как важно, когда рядом верный человек, готовый разделить с тобой горести и радости, указать выход из создавшегося сложного положения, способный заслонить тебя от жизненных невзгод.

В моей жизни таких людей было трое. Я называю их вехами в своей судьбе. Это Нонна Дмитриевна Ауце, Илья Соломонович Бурштеин, Виолетта Ильинична Гаспаришвили.

Вспоминаю 20 августа 1958 года. Закончила педвуз и получила назначение в «Гигантскую 8-летнюю школу» Гареубанского района. Где она? Как туда добираться? Оказалась в 15км от Тбилиси, в поселке Соганлуг (ныне Пончала).

Отец предложил поехать туда на пригородном поезде. После станции Навтлуги поезд остановился у небольшой платформы. Из вагона выпорхнули молодые девушки. Мы с отцом последовали за ними, вышли на проселочную дорогу и за поворотом большого поля увидели что-то темное. Это и была школа. Я вспомнила описание усадьбы Манилова (Гоголь. «Мертвые души»). Школа «не многих могла заманить своим местоположением. Одноэтажная деревянная постройка (бывшая контора совхоза «Гигант») стояла одиночкой на юру, открытом всем ветрам, каким только вздумается подуть. Вид оживляли две тощие коровы и стайка гусей, которые своими широкими носиками рыли землю под чахлыми акациями.»

В школе оказалось всего 5 комнат: 4 классные, одна одновременно служила учительской и кабинетом директора. Занятия проводились в две смены: V-VIII классы – в первую, I-IV – во вторую смену. Туалет – деревенская выгребная яма, вода – в местном колодце. Дали мне четвертый класс, в котором вела все предметы.

С первых же дней почувствовала, что работать будет трудно – слишком пестрый национальный состав ребят, многие плохо владеют русской речью. Это и не удивительно. Весь Соганлуг в зависимости от заселения делился на посёлки: греческий, армянский, татарский. А школа была русская. Не спасали ни институтские знания, ни диплом с отличием, ни кропотливая подготовка к каждому уроку. В поисках выхода из положения обратилась в РОНО. И здесь услышала фразу: «А пошлём ее к нашему Илюше. Пусть с ней поработает.» Так произошло моё знакомство с методистом города Ильей Соломоновичем Бурштейном.

Илья Бурштеин оказался очень высоким, худощавым, долговязым мужчиной с удивительным взглядом, который проникал в душу, хотелось поведать о себе всё, как на духу. Он обещал прйти на уроки. Я думала – будет полный разнос. Могу сказать только одно – это был настоящий мастер-класс. Ни до, ни после я не слышала такого подробного разбора урока. Илья Соломонович отметил всё, даже то, как одета, какой тембр голоса у меня, как держусь на уроке, вхожу в контакт с детьми, насколько «прозрачны» задаваемые мной вопросы, понятны ли детям.

Класс был малочисленный, и Бурштеин предложил поставить парты не в колонны, а кругом, чтобы и учитель, и ученики видели в лицо друг друга. Этот метод уже опробирован в Германии и дал хорошие результаты. Вопросы, обращенные к уму и сердцу школьника, вызывают в нем желание показать, что он внимательно следит за ходом урока.

Я прислушалась к советам Ильи Соломоновича, учла его рекомендации, и работать стало гораздо легче, как в песне «Я тучи разведу руками».

Потом стала часто заходить в методкабинет на консультации. Вскоре наши отношения перешагнули за грань отношений руководителя и подопечной. У нас оказалось много общих знакомых. Мы подружились семьями. Мать Ильи Соломоновича рассказала, что жили они в Минске. В 1941 году в первые же дни войны ушли на фронт муж и старший сын Миша. Она с Ильей – подростком успела эвакуироваться на Урал. Вернулись домой после Победы. Вскоре скончался муж. Старший сын стал работать журналистом на Минском телевидении, а Илья закончил Минский университет и был направлен в Брест на службу, где встретился с Эммой Фонштеин, которая, закончив класс профессора Игумнова в Московской консерватории, тоже была распределена в Брест. Здесь и произошла судьбоносная встреча. Молодые полюбили друг друга, поженились и приехали в Тбилиси. Так парень из Белоруссии стал жителем солнечной Грузии.

Жили они недалеко от центра столицы, на Серебряной улице. Сочетание колорита старого города и современных строений, разноязычная речь, многонациональный состав населения, новые традиции – всё это сыграло свою роль. Илья Соломонович полюбил Тбилиси, этот удивительный город, был покорён его оригинальностью и часто повторял:

«Был он особенным, славным и ярким,
Неповторимый имел колорит,
Был он грузинский, татарский, славянский,
Слышен был здесь даже древний иврит.»

Илья Соломонович и Эмма Соломоновна создали прекрасную семью. Эмма оказалась той умницей, которая могла бы осчастливить любого мужчину, избравшего её в спутницы жизни. Она знала, что муж её – выходец из другой страны, и сделала всё, чтобы собрать вокруг него общество интересных людей. Она была необычайно талантлива, наделенная от природы музыкальными и математическими способностями, она владела английским языком, была знакома с искусствоведами, писателями (делала переводы с грузинского), была прекрасным собеседником, блестящим концертмейстером. У неё в доме собиралась лучшая часть интеллигенции Тбилиси.

15 января (день рождения мужа) Эмма из семейного торжества превратила в весёлый праздник – встречу друзей и родственников. Интересные люди, интересные встречи, изысканное застолье...

Да, тысячу раз прав древний мудрец, сказавший: «Нет счастья более, чем умная жена.» Все три дочери Соломона Фонштейна (Эмма, Руфина, Сара) были замечательными женами, отличными хозяйками, привнесли в свои семьи лучшие традиции родительского очага, все хорошее, что видели в доме отца и матери.

Сам Илья Соломонович обладал особым даром, каким-то внутренним чутьём находить способных учителей, определял ведущую черту их характера, а затем, учитывая их индивидуальность, направлял работу в нужном русле.

Вот несколько его рекомендаций:

«У Вас хорошо получаются заключительные уроки? Попробуйте составить цикл таких уроков, их смогут использовать Ваши коллеги.»

«Вы увлекаетесь смежными видами искусства? Попытайтесь привлечь на уроки литературы произведения музыки, живописи. У Вас несколько изменится композиция урока, но зато расширится кругозор учащихся. Воспользуйтесь рекомендациями программы, составленной В. Гаспаришвили. Там все четко распределено.»

Однажды Бурштеин провел, на мой взгляд, интересный семинар. Несколько учителей провели урок на одну и ту же тему (Толстой. «После бала»). Затем присутствующие обсуждали эти уроки, выявляли сильные и слабые стороны, пути раскрития образов, сравнительные характеристики. Разговор получился интересный, аудитория спорила до хрипоты, каждый отстаивал свою позицию.

Заметив, что я увлекаюсь краеведением, Илья Соломонович предложил проводить занятия в два приема. На уроках в школе рассказывать детям о жизни русских писателей в Грузии, а на практических занятиях проводить экскурсии по памятным местам. Показать ребятам места связанные с пребыванием русских служителей муз на грузинской земле, на земле, где ребята родились и, возможно, проживут всю жизнь. И называется эта земля სამშობლო – Отечество. Пусть дети преисполнятся гордостью за своё отечество, ставшее колыбелью для многих деятелей русской культуры, «тем местом, где они нашли вторую родину и раскрыли и обнаружили неизведанные сферы собственной души, собственного существа.» (Б. Пастернак)

Одновременно, советовал Илья Соломонович, надо воспитывать и эстетический вкус ребят, акцентировать внимание школьников на красоте окружающего мира. Пусть дети увидят поэзию в мощи величественных гор, в нежном шелесте пахучих трав, в яркой красоте цветов и листвы, в щебетанье птиц: «Творите, дерзайте!» – напутствовал Илья Соломонович, и я старалась быть примерной ученицей.

Во время работы И. Бурштейна методистом города на учительском небосводе сверкали имена Е. Кириченко, Н. Ауце, Л. Бирюковой, К. Кулакова, Л. Хачатурова, С. Меликсетовой, Г. Кириловой, К. Кмондзера.

Они были разные по возрасту и степени владения методикой, но все мастера высокого класса, все творцы, все с искрой божьей.

Все они часто выступали на городских совещаниях, делились опытом, многие печатались на страницах журналов и газет. Опыт Ильи Соломоновича был опубликован на страницах местной прессы и журнала «Литература в школе».

Илья Соломонович был необыкновенно добрым человеком, жалел стариков и больных. Он с нежностью относился к своим друзьям. Долгие годы дружил с В.И. Гаспаришвили. Когда она заболела, он на руках сносил её с четвертого этажа и отвозил в ортопедическую клинику, почти каждый день привозил к ней врача-травматолога. Он понимал, что в доме нужна мужская рука, и он был этой мужской рукой. Так он понимал дружбу.

Узнав о смерти моего брата, он не стал дожидаться официальной панихиды, а тут же прибежал с соболезнованиями и весь вечер просидел рядом, утешал как мог. Его участие в моей жизни значительно, я помню и ценю каждое его дружеское проявление.

Во время проверки одной из школ Глданского района мне рассказали такую историю. Двое ребят – «шалунов» не давали возможности старенькой учительнице провести нормально урок. И. Бурштеин знал эту учительницу. Она была одинока, безумно любила школу. Снять её с работы – равносильно лишить жизни, ведь кроме любимого дела у неё никого нет на свете. Илья Соломонович после уроков поговорил с мальчиками, и те перестали нарушать дисциплину. О чем говорили? Это известно только им, но видимо, Бурштеин нашёл нужные слова, которые убедили ребят быть гуманнее по отношению к старому человеку.

А его отношение к Г.А. Кириловой! Она была одинока и несчастна. Единственный брат покончил жизнь самоубийством. И дома жил только кот, такой же старый и одинокий, как хозяйка. У директора школы С. Дурглишвили не поднималась рука написать приказ об её увольнении. И. Бурштеин часто повторял, что он поступил бы также.

В городском методкабинете говорили, что Илья Бурштеин – символ рыцарства и благородства.

На службе Илья Соломонович пользовался большим авторитетом, и это заслужил своим характером. Все педагоги отмечали его интеллигентность и доброжелательность.

Не помню случая, чтобы кто-то был недоволен Бурштеином. Работая, в основном, в женском коллективе, Илья Соломонович был предельно тактичен, старался не обидеть словом, резким отзывом, но в то же время строг и принципиален. Видел недостатки урока – говорил об этом, не скрывал правды. Но как он говорил! Умно тактично, чтобы не ранить профессиональное и женское самолюбие. Илья Соломонович никогда не устраивал разноса. Каждый его приход в школу, каждая проверка – умный тактичный разговор, поиск выхода из кризиса, желание исправить огрехи в работе.

Он умел хорошо и верно дружить. Отец мой часто просил меня: «Цисо, пойдем к Бурштеинам, пообщаемся!» Я знала, что душе его нужен диалог с умным собеседником, который даст тебе ответ на любой вопрос.

«А-а-а! Дядя Гриша пришел! Мы рады видеть Вас!» – обычно так встречали Эмма и Илья. Папу называли не по имени и отчеству, а дядей Гришей и объясняли это тем, что тогда чувствуют себя еще молодыми, рады, что есть люди постарше них, которых можем назвать как родных и очень дорогих.

В старости, когда папа потерял единственного сына, Илья Соломонович, понимая весь драматизм положения, чаще заходил к нам домой. Общение с членами семьи Бурштеинов было для отца радостью и утешением.

Вспоминаю случай. Как-то Илья пришел с Семой, младшим сыном. Мальчику лет 5. Отец рад безумно, не знает, как угодить ребенку. Игрушек у нас не было, и он подарил Семочке маленький молоточек. А на утро прибегает взволнованная Эмма: «Дядя Гриша, что Вы наделали Вашим подарком! Он весь вечер на серванте выпрямлял старые гвозди».

Или другой случай. Задержалась у Бурштеинов допоздна, Илья пошел меня провожать. И Сема, конечно. Только открыли дверь подъезда, он бросился бежать по узкой серебряной улице. «Илюша, ребенок, машины!» – кричу я в страхе. «Циала, не волнуйтесь. Он добежит до угла и остановиться, он же трус, дальше не двинется!» – успокаивал себя Илья Соломонович.

А веселые события! Сегодня с радостью вспоминаю четыре свадьбы. Я и моя мама принимали самое активное участие в подготовках свадебного пиршества. Делали это от души – ведь женились дети Ильи и Руфины. Семейные торжества впечатались в память сердца навсегда. Это были фейерверки веселья, радости, остроумия, шуток, счастье родителей и детей, радостные лица гостей. Наверное о таких свадьбах пел Магомаев:

«Ах, эта свадьба, свадьба, свадьба пела и плясала,
И крылья этой свадьбы в даль несли,
Широкой этой свадьбе было места мало,
И неба было мало, и земли.»

Годы прошли. Остались только воспоминания и фотографии. На них запечатлены эпизоды из прошлой жизни. Редеет круг друзей. Не напишет Илья Соломонович мне писем, которые всегда начинались словами: «Циалочка, сестра души моей».

Уже год, как он и Эмма нашли утешение на небесах. Пусть им там будет покойно и уютно.

«Неправда, друг не умирает,
Лишь рядом быть перестаёт.»

***ЦИАЛА ГУЦЯН***

*Заслуженный учитель Грузии*

# ფავორიტებს მხატვრულად აჯობეს




მხატვრულად ტანმოვარჯიშე ახალგაზრდებმა მშვენივრად იასპარეზეს იტალიურ პეზაროში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც 30 ნაკრებს შორის საპატიო მესამე ადგილი დაიკავეს. ჩვენს გუნდში გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრის აღსაზრდელები – **გაბრიელა ხვედელიძე** (მწვრთნელი – **ბელა კობალაძე**), **სოფიო ფარულავა** (**ლუბა სერგოვანცევა**) და ნელი სალაძის სახელობის კლუბ „გრაციის“ წევრი **სალომე ფაჟავა** (**ელისო ბედოშვილი**) შედიოდნენ. ჩვენები გუნდურ ტურნირში მხოლოდ რუსებსა და ბელარუსებს ჩამორჩნენ, სამაგიეროდ, გაუსწრეს შეჯიბრების ფავორიტ იტალიელებს, ბულგარელებს, აზერბაიჯანელებს და სხვებს.

ქართველებს თავი არც ცალკეულ საგნებზე შეურცხვენიათ. ხვედელიძე, რგოლით ვარჯიშში, მესამეზე გავიდა, ხოლო გურზებით ვარჯიშში – მეოთხეზე, მცირედით ჩამორჩა ბრინჯაოს მედალოსანს. ასევე ბრინჯაო მოიპოვა ფაჟავამ ბაფთით გამოსვლაში.

ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები 1-3 ივნისს გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. საამისოდ ჯერ მსოფლიოს თასზე გამოვა, 12-13 მაისს კი თბილისის თასზე იასპარეზებს.

# არასაფეხბურთო ანგარიში ავსტრიაში



საქართველოს 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრები აგრძელებს მზადებას ევროპის პირველობისთვის. ჩვენი გუნდი დასკვნით შეკრებას ავსტრიულ სენტ ვაისში გადის, სადაც ორი საკონტროლო შეხვედრაც გამართა და ორივეში წარმატებით ითამაშა. პირველ შეხვედრაში მათ „შტურმის“ 18-წლამდელთა გუნდს მოუგეს – 4:0. გოლები **ჭიაბერ ჭეჭელაშვილმა**, **ვანო წილოსანმა**, **რომან ჭანტურიამ** და **არჩილ მესხმა** გაიტანეს. მეორე მატჩი კიდევ უფრო ნიშანდობლივი გამოდგა, რადგან ჩვენებმა მასპინძელი ქალაქის – სენტ ვაისის 19-წლამდელთა გუნდს გამანადგურებელი და აშკარად არასაფეხბურთო ანგარიშით – 13:0 მოუგეს! აქ ჭანტურიამ დუბლი შეასრულა, **დავით ჯიქიამ** – ჰეთ-თრიქი, ხოლო მესხმა, **დავით დარციმელიამ**, **ნიკოლოზ ახვლედიანმა**, **გიორგი აბურჯანიამ**, **გიორგი პაპუნაშვილმა**, **ლაშა დვალმა** და **გიორგი გაბაძემ** თითო გოლი გაიტანეს, ერთი კი მეტოქემ ჩაჭრა საკუთარ კარში.

ჩვენი ნაკრები 2 მაისს ავსტრიიდან სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში გაემგზავრა, სადაც 4 მაისს ევროპის ჩემპიონატის პირველ შეხვედრას გამართავს გერმანელთა წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ ამ წყვილის გარდა ჩვენს ჯგუფში საფრანგეთი და გერმანია მოხვდნენ. 7 მაისს ჩვენები მორიგ შეხვედრას ფრანგებთან გამართავენ, ისლანდიელებს კი 10-ში ეთამაშებიან. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაითვალისწინა ქომაგთა დიდი ინტერესი და აღნიშნულ დღეებში სლოვენიიდან პირდაპირ რეპორტაჟებს შემოგთავაზებთ.

# მზადება ოლიმპიური ფესტივალისთვის



1999-2000 წლებში დაბადებულ მოცურავე ჭაბუკთა ასაკის 8-კაციანმა გუნდმა ოდესაში საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა. ეს ის ასაკია, რომელმაც 2015 წელს თბილისში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში უნდა იასპარეზოს. ჩვენი ფედერაცია სათანადო კადრების აღზრდისთვის აქედანვე იჭერს თადარიგს და შეძლებისდაგვარად ბევრ ტურნირში გამოჰყავს მოზარდები. რამდენიმე შესარჩევი შეჯიბრება საქართველოშიც გაიმართა და სწორედ მათი შედეგებით შეირჩა სპორტსმენთა ბირთვი, რომელიც ფესტივალისთვის ემზადება. ცხადია, იქამდე დარჩენილ წლებში მათ კიდევ დაემატებიან ახალი კადრები უმცროსი თაობიდან, მაგრამ ამ ეტაპზე არსებული ასაკიდან ეს ჯგუფი შეირჩა.

ოდესაში ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, თუმცა სპორტკლუბ „ლაგუნა-ვერეს“ აღსაზრდელ **ილია პაპიძეს** (მწვრთნელი – **მანანა თურქია**) წარმატებულ გამოსვლაში ხელი ამან ვერ შეუშალა. ის 50, 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში გამოვიდა, ოღონდ საერთო ჩათვლაში მხოლოდ ორი საუკეთესო შედეგი შედიოდა და ამ მაჩვენებლით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ჩვენი გუნდის დანარჩენ წევრთაგან **ირაკლი კვარაცხელია** 200 მეტრზე კომპლექსურ, **გივი დუდაშვილი** 100-ზე ბატერფლაით, ხოლო **გიორგი ხვედელიძე** 200-ზე გულაღმა ცურვაში მესამეზე გავიდნენ, **რუსუდან გოგინაშვილი** 200მ-ზე ბრასით მეორე, ხოლო 50-ზე ბატერფლაით მესამე იყო. **მერი მუმლაძემ** 100-ზე თავისუფალ სტილით ცურვაში ვერცხლი მოიპოვა, ხოლო 50-ზე და 200-ზე, ასევე თავისუფალში, ბრინჯაო ირგუნა. ოღონდ, ქულათა დაჯგუფების უცნაური წესის გამო, საერთო ჩათვლაში პაპიძის გარდა მედალოსნებში ვერავინ მოხვდა.



# სტუდენტური ლიგა დაიწყო

დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს სტუდენტური ლიგის შეჯიბრებები ფუტზალსა და კალათბურთში.

ფეხბურთელთა ტურნირს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტული დარბაზი მასპინძლობს და მასში 16 უმაღლესი სასწავლებლის გუნდი გამოდის. მონაწილეთა უმრავლესობა დედაქალაქს წარმოადგენს, რეგიონებიდან კი თელავისა და გორის უნივერსიტეტები მონაწილეობენ.

ეს 16 გუნდი ორ ჯგუფადაა გაყოფილი, რომლებმაც წრიულად უკვე ჩაატარეს ჯგუფური ეტაპი და გაირკვა მომდევნო ეტაპზე გასული 4-4 საუკეთესო გუნდიც: თსუ, სტუ, ილიას უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, გორის, სოხუმის, სამედიცინოსა და აგრარული უნივერსიტეტები. ისინი მეორე ჯგუფურ ეტაპზე ერთმანეთში ითამაშებენ და გაარკვევენ ნახევარფინალში გამსვლელ საუკეთესო ოთხეულს.

საკალათბურთო ლიგის თამაშებს კალათბურთის აკადემიის დარბაზი მასპინძლობს. ამ ტურნირში 10 გუნდი გამოდის, რომლებიც წრიული სისტემით ხვდებიან ერთმანეთს, 8 საუკეთესო კი მეოთხედფინალიდან პლეი ოფის სისტემით გააგრძელებს ბრძოლას. ჯერჯერობით, 4 ტურია გამართული და შეჯიბრებას ილიას უნივერსიტეტი ლიდერობს ქულათა მაქსიმუმით – 8 ქულით. ოთხივე თამაში მოიგო და ამდენივე ქულა დააგროვა სტუ-მ, თუმცა კონკურენტს ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩება. თსუ-მ, სამედიცინომ და სეუ-მ 7-7 ქულა დააგროვეს.

# მოჭიდავეთა წარმატება ბაქოში

ბაქოს ოლიმპიურ სპორტკომპლექს „სერხედჯში“, ოთხი დღის განმავლობაში, მიმდინარეობდა „აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის თასის“ გათამაშება ახალგაზრდა და ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის, ორივე საჭიდაო სახეობაში ტარდებოდა – პირველი ორი დღე „ბერძენ-რომაელებს“ ეთმობოდათ, მომდევნო ორი – „თავისუფლებს“.

ტურნირში უფრო წარმატებით ბერძენ-რომაელები გამოვიდნენ, რომლებმაც ჯამში 18 მედალი მოიპოვეს, ცალკეულმა გუნდმა – 9-9. ჭაბუკებმა ეს ცხრა მედალი ხარისხობრივად თანაბრად გაანაწილეს, ანუ სამივე სინჯის სამ-სამი მედალი დაისაკუთრეს. მათ ყველაზე წარმატებით 63 კილოგრამში იასპარეზეს, სადაც ქართული ფინალი გაიმართა – **გელა ბოლქვაძემ მურთაზ ჩაბრავა** დაამარცხა. ჩაბრავა ნაკრების ძველი წევრია და ბევრად გამოცდილიც, მაგრამ ნაკრების მწვრთნელ **ვაჟა კრავეიშვილს** ბოლქვაძისაც ძალიან ეიმედება. ეტყობა, მწვრთნელი არც ცდება.

ჩვენი ნაკრებიდან ოქროს მედლები **ნიკოლოზ კახელაშვილმა** (85) და **ბექა კანდელაკმაც** (100) მოიპოვეს. კახელაშვილი ცნობილი მწვრთნელის – **დავით დავითაიას** შვილიშვილია და ისიც ქართული ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ერთ-ერთ იმედად მიიჩნევა, რასაც ახალგაზრდა ფალავანი შედეგებითაც ამტკიცებს. ჩაბრავას გარდა, ვერცხლის მედლები **რამაზ ზოიძემ** (46) და **გიორგი ტოტიკაშვილმა** (58) მოიპოვეს, ხოლო ბრინჯაოს მედლებს **გენადი ჩიტაძე** (42), **ლაშა ებილაშვილი** (58) და **ნიკა გავაშელი** (76) დაეუფლნენ.

ახალგაზრდა ბერძენ-რომაელებმა 2 ოქრო და 7 ბრინჯაო დაისაკუთრეს. ჩემპიონები **რობერტ ქობლიაშვილი** (84) და **იაკობ ქაჯაია** (96) გახდნენ, მესამე პრიზიორები – **თორნიკე ძამაშვილი** (74), **დავით ჩაკვეტაძე**, **ლაშა შალიკაშვილი** (ორივე – 84), **ბექა ქურცაძე**, **კუკური კირცხალია** (96), **შოთა გოგისვანიძე**, **ლევან არაბული** (120).

ჭაბუკ „თავისუფალთა“ გუნდმა 6 მედალი დაისაკუთრა – 1 ვერცხლი და 5 ბრინჯაო. ტურნირის ვიცე-ჩემპიონი **ბაქარ შამანაძე** (76) გახდა. ბრინჯაოს მედლები **ირაკლი მხეიძემ** (42), **ტარიელ გაფრინდაშვილმა** (63), **დავით ლოლაშვილმა**, **გიორგი ჩხარტიშვილმა** (ორივე – 85) და **ბექა კახეთელიძემ** (100) მოიპოვეს.

ბაქოში კიდევ უფრო წარმატებით გამოვიდნენ ახალგაზრდა „თავისუფლები“ – 10 მედალი დაისაკუთრეს. აქედან 3 ოქროა, 5 – ვერცხლი და 2 – ბრინჯაო. სასიხარულოა, რომ ორ წონაში ქართული ფინალი გაიმართა – 55 კილოგრამში ახალგაზრდებში ევროპის ბრინჯაოს და მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანმა **ლაშა ტალახაძემ ოთარ გოგავას** აჯობა, 96-ში კი **ომარ გუსოშვილმა გიორგი მეშვილდიშვილი** დაამარცხა. ჩვენს ნაკრებს მესამე ოქრო **სანდრო ამინაშვილმა** (84) მოუტანა. ჩემპიონობამდე ერთი მოგება დააკლდათ **ბექა ბუჯიაშვილს** (50), **კონსტანტინე ხაბალაშვილს** (66) და ახალგაზრდებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორს, ჭაბუკებში მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონ **გენო პეტრიაშვილს** (120). **ზურაბ ერბოწონაშვილი** (74) და **ლევან გოგრიჭიანი** (84) მესამეზე გავიდნენ.

*რუბრიკას უძღვება*
***ირაკლი თავაძე***

# სიახლე!




## თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

## თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

## ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის
## მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. ვაჟა-ფშაველა
22. თეიმურაზ I
23. ვახტანგ VI
24. გიორგი მერჩულე
25. გრიგოლ ორბელიანი
26. დავით აღმაშენებელი
27. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

## რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
9. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საქანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

# ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-IV ტომი, – 11 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი (2-ტომეული), I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-III ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-IV ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

# გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი

**ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ ჩვენი შემოთავაზებით.

## გამოიწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალურ ფასად




საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~29.90~~

17 ლარი




საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი




კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი ლიტერატურის შემსწავლელთა და მოყვარულთათვის

ავტორი თამაზ ვასაძე

11 ლარი



მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი

თამარ ბეროზაშვილი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი

# მიმდინარეობს ხელმოწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ

ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:

032 295 80 23; 0790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735

ა/აGE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22

# შემოგვიერთდით!










მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია

~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

~~40~~ 30 ლარი

## „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ერთი ტომი – 12 ლარი





- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები** ახალი
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი** ახალი
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი** ახალი
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**




„რა არის რა“

50–ტომეული.

ერთი ტომის ფასი

11 ლარი

გაყიდვაშია სერიის 27 ტომი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

ორტომეულის ფასი 16 ლარი




საქართველოს ისტორიული ატლასი

ფასი 5,70 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3

ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.

www.axaliganatleba.ge

E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735

ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X

9 772233 386008 >

C M Y K